საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი 7 იანვარი. 2020 წ. №1 (8927) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი!..



ქრისტეშობა

ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს — უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა...
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე,
ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა — ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა,
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი — ოცნებად,
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი — იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! — კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა, შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს,
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი — უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად.

ზვიად გამსახურდია

უინსტონ ჩერჩილი: დემოკრატია მართვის ყველაზე უარესი ფორმაა...

ეს დღემდე უცნობი (ქართველი მკითხველისთვის) ინტერვიუ თუ საუბარი, რომელიც 1953 წელს გამართულა (ჩერჩილისთვის ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ) თვალსაჩინო ბრიტანელ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს **უინსტონ ჩერჩილსა** (1874-1965) და აგრეთვე დიდ მეოცესაუკუნელ ამერიკელ მწერალს, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატ **ერნესტ ჰემინგუეის** (1899-1961) შორის, შვილიშვილისგან საახალწლო საჩუქრად მივიღე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ქალაქ ატლანტადან (ჯორჯიას შტატი).

ჩემი შვილიშვილი **თეონა კვარაცხელია**, რომელსაც წიგნის ჭიას ვეძახი, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია და დროის უმეტესი ნაწილი ხან რომელ ბიბლიოთეკაშია და ხან რომელში... და აი, გასული საუკუნის 50-იანი წლების ძველი გაზეთების ქექვისას წასწყდომია ორი დიდი და ბრძენი მეოცესაუკუნელის ამ ინტერვიუს თუ საუბარს, რაც უთუოდ დიდად საგულისყურო და ყურადსაღებია თანამედროვე მკითხველისთვის.

განა დღეს არის ისეთი ვინმე, ვისაც მეტნაკლებად გაგონილი მაინც არა ჰქონდეს ჩერჩილის სახელი! 2002 წელს ერთ-ერთი კომპანიის გამოკითხვის თანახმად, უინსტონ ჩერჩილი აღიარებულია **„ყოველის უფრო გამოჩენილ ბრიტანელად“**.

თვითონ უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა: უკეთუ დროულია ამის თქმა, უნდა გახსოვდეთ, რომ ჩემს სარჩოს ყოველთვის ჩემი კალმითა და ენით მოვიპოვებდიო, ჩერჩილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ფრიად ფართოა — დაახლოებით ორმოცი ნაწარმოები სამოც ტომად, ათასობით წერილი და ესეი. განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ იმის სიტყვებს, ყოველის უფრო მძიმე განსაცდელთა ჟამს ბრიტანელთ რომ აღაფრთოვანებდა.

ჩერჩილი წარმოუდგენლად აფორისტულია, კაცობრიობის ისტორიაში ის უთუოდ ერთ-ერთი ის ადამიანია, რომლის აზრებსაც ბრძნულ გამონათქვამს ყოველდღიურად ვიშველიებთ ლაპარაკში.

განსაკუთრებით გახმაურებულია ჩერჩილის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1946 წლის 5 მარტს ვესტმინსერის კოლეჯში ქალაქ ფულტონში (მისურის შტატი). იმ დროისთვის უკვე ოპოზიციის ლიდერი ჩერჩილი ამერიკის შეერთებულ შტატებშია როგორც კერძო პირი. როცა ის თავის ამ სიტყვას წარმოთქვამდა, ფრიად გამწვავებული იყო ურთიერთობა ანტიჰიტლერული კოალიციის იმჟამინდელ მოკავშირეთა შორის. ჩერჩილს ესმოდა, რომ იმჟამიდან სსრ კავშირის წინააღმდეგ ლიდერთა ტვირთი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებიდან უნდა გადასულიყო შეერთებული შტატების ხელში, რომლის პრეზიდენტი ტრუმენი სსრ კავშირს ატომური იარაღის გამოყენებითაც კი ემუქრებოდა. მაგრამ, ამასთანავე, ჩერჩილს გამოუვალ მდგომარეობად არ მიაჩნდა ახალი ომი, ესმოდა რა ყველა ქვეყნისთვის ამ ომის საშიშროება.

ჰემინგუეი, რომელიც კარგ მწერლობას კარგ ჟურნალისტობას საუკეთესოდ უთავსებდა, სწორედ ფულტონის ცნობილი სიტყვიდან გამომდინარე, ესაუბრება უინსტონ ჩერჩილს, რომელიც ამ დროს უკვე 79 წლისაა, აღსასრულამდე კიდევ 12 წელიწადი აქვს დარჩენილი, ჰემინგუეი კი ორმოცდათოთხმეტისაა და ჯერ ისევ კედელზე უქმად ჰკიდია მამის ნაჩუქარი თოფი, რვა წლის მერე სასიკვდილოდ რომ უნდა გავარდეს...

აქ არ ჩანს, სად შეხვდა ერთმანეთს ეს ორი ბრძენი ადამიანი — თვითონ ანტლანტაში, ფულტონში, კასტროს რევოლუციურ კუბაში თუ შტატების რომელსამე ქალაქში, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არცრა მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ჟურნალისტმა ჰემინგუეიმ ხელიდან არ გაუშვა დიდი ცოდნისა და გამოცდილების კაცყულაბასთან შეხვედრის ბედნიერი შესაძლებლობა და ძვირფასი განძი დაგვიტოვა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროის მსოფლიოში არ ყოფილა არც ერთი ცხელი წერტილი, რომ ჟურნალისტ ჰემინგუეის რეპორტაჟი არ გადაეცეს რომელსამე გაზეთში.

მოკლედ, ასეა თუ ისე, დღეს მართლაც იშვიათ საახალწლო-საშობაო საჩუქარს ვთავაზობთ ჩვენს ფრიად გემოვნებიან მკითხველს...

იხ. 6-7 გვ.

საქართველოს პრეზიდენტმა საშობაოდ ხუთი მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ხუთი მსჯავრდებული შეიწყალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში პრესკონფერენცია გამართა.

„დასრულდა 2019 წელი და დაიწყო ახალი წელიწადი ჩვენი საზოგადოების გაერთიანებით, — მართალია, სულ რამდენიმე, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო.

იმ დროს, როცა ქვეყანაში საარჩევნო წელი იწყება; იმ დროს, როცა რეგიონში და მის ირგვლივ დაძაბულობა და ესკალაციაა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ერთიანობა და სიმშვიდე, დავძლიოთ პოლარიზაცია და სიძულვილი. დეესკალაცია უნდა იყოს ჩვენი მიზანი ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, და ეს იქნება ჩემი მიზანი წელს.

შარშანდელმა შეწყალების აქტმა საზოგადოებაში გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია. ამის შემდეგ, ჩემი ინიციატივით, ახალი კრიტერიუმების შემუშავებამდე, შეწყალების პროცესი დროებით შეჩერდა. კრიტერიუმების ჩამოყალიბებისთვის ვიხელმძღვანელეთ, ერთი მხრივ, არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, მეორე მხრივ კი, შესაბამის უწყებებთან გვქონდა კონსულტაციები. შედეგად, შემუშავდა შეწყალების ახალი წესი.

ახალი კრიტერიუმები მძიმე დანაშაულის მიმართ, როგორებიცაა: მკვლელობა, რეციდივი, ოჯახური ძალადობა, ძალადობა ბავშვზე, ნარკოტიკის შემოტანა-გასაღება — უფრო გამკაცრებულია, მსუბუქ დანაშაულებზე კი, პირიქით, შერბილებულია. ეს კრიტერიუმები მე ჩემს თავს დავუწესე, რამეთუ კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებას სხვა ვერავინ შეუზღუდავდა.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა ვთქვა: როგორც ერთი წლის წინ, პარლამენტის წინაშე ჩემს პირველ მოხსენებაში განვაცხადე, შეწყალებას, როგორც ეს დემოკრატიულ ქვეყნებშია დამკვიდრებული, უნდა ჰქონდეს გამონაკლისის სახე. იგი ვერ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსწორების მექანიზმი და ვერც სასამართლოზე მაღლა მდგომი.

შეწყალების ახალი კრიტერიუმების ზედმიწევნით დაცვით და ყველა გარემოების გათვალისწინებით (მათ შორის, დაზარალებულების განწყობების), მიღებულ იქნა დღევანდელი შეწყალების აქტი. იგი ითვალისწინებს 5 ადამიანის შეწყალებას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ეს სია, ისევე, როგორც გასული წლის შემთხვევაში, ჩამოყალიბდა ჩემი და მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობით.

რაც შეეხება დეკანოზ გიორგი მამალაძის გახმაურებულ საქმეს, აქაც მთავარი პრინციპით ვიხელმძღვანელე, — რომ ჩემი გადაწყვეტილებით არ შევუწყო ხელი საზოგადოებაში რაიმე ახალ დაპირისპირებას.

სამწუხაროდ, საქმის პოლიტიზირებამ, მით უმეტეს მაშინ, როცა დანაშაულის მახასიათებლები თავისთავად იწვევს მძაფრ რეაქციებს; პოლიტიკოსებისა თუ სასულიერო პირების მიერ წინასწარ გაკეთებულმა მკვეთრმა განცხადებებმა არ შეუწყო ხელი გადაწყვეტილების მიღების პროცესს, — ისეთ პროცესს, რომელიც სიმშვიდესა და ყოველგვარი ემოციისგან დაცლას მოითხოვს.

თუმცა, მე ბოლომდე მოვისმინე ადვოკატების არგუმენტები, დეტალურად გავეცანი წმინდა სინოდის შუამდგომლობას და მივიღე გადაწყვეტილება, რომელზეც მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას.

ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება. ვერ მოვნახე არგუმენტი, მით უმეტეს, შეწყალების კრიტერიუმების გამკაცრების პირობებში, როცა ბევრი მსჯავრდებულის საქმე განხილული ვერ იქნებოდა, რატომ უნდა დაშვებულიყო გამონაკლისი დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეზე.

ეს გადაწყვეტილება ეფუძნება, ასევე, საზოგადოებრივი სიმშვიდის უზრუნველყოფას, რამეთუ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ასეთი დანაშაულისთვის შეწყალებას ვერ გაიგებს და ვერ გაიზიარებს. დღეს ჩვენი დაყოფა, დაპირისპირება საფრთხეს შეუქმნის ჩვენი სახელმწიფოს მომავალს.

შემდეგი არგუმენტი ქართული სახელმწიფოს ისტორიულ სპეციფიკას ეფუძნება. ქართული სახელმწიფო განუყოფელია ეკლესიისგან — ეკლესიისგან, რომელიც მუდამ იყო მისი დამოუკიდებლობის გზის გამჭრელი. ეკლესიაზე შეტევა, მისი დისკრედიტაცია, ავტორიტეტის შელახვა უდრიდა და უდრის საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესუსტებას. ამდენად, მასზე ნებისმიერი სახის შეტევა დაუშვებელია.

დაბოლოს, ჩემი, როგორც პირადი, ისე — როგორც პრეზიდენტის დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ — პიროვნებისა, რომელმაც სრულიად განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის, ეკლესიის აღორძინებისა და სულიერების აღდგენის უდიდეს საქმეში. ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ, როცა საქართველოს სახელმწიფო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, პატრიარქის ავტორიტეტისა და მისი სიცოცხლის ხელყოფა ნიშნავს საქართველოს ხელყოფას.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემი მყარი გადაწყვეტილებაა. სხვა გადაწყვეტილება რომ მიმეღო, მე არ მექნებოდა პასუხი იმაზე, თუ რა მაგალითზე უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილები და შემდეგი თაობა.

ალბათ, იკითხავთ, რატომ არ გავითვალისწინე წმინდა სინოდის თხოვნა. ამაზე პასუხი ის გახლავთ, რომ შეწყალება ეკლესიის წიაღში, რომელიც არსებითად ქრისტიანულია და შეწყალება სახელმწიფოს მხრიდან ერთმანეთისგან განსხვავდება. სხვა შემთხვევაში, კონსტიტუცია სწორედ ეკლესიას დაუტოვებდა ამ დისკრეციულ უფლებას.

მსოფლიო მაგალითებიც კარგად გვიჩვენებს ამ განსხვავებას: იოანე პავლე მეორემ მასზე თავდამსხმელს სულ რამდენიმე თვეში აპატია დანაშაული, თუმცა იგი ციხიდან, პრეზიდენტის შეწყალებით, მხოლოდ 19 წლის შემდეგ გაათავისუფლეს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

არჩილ თალაკვაძე: შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის აქცენტები სწორი და სახელმწიფოებრივი იყო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პოზიციას მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით სწორსა და სახელმწიფოებრივს უწოდებს.

„პრეზიდენტმა გააკეთა სწორი და სახელმწიფოებრივი პოზიციები შეწყალებასთან დაკავშირებით. მოხარული ვარ, რომ ჩვენს სახელმწიფოში გატარებული რეფორმების შემდეგ, ძალიან ბევრ პატიმარს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ალტერნატიული გზებით რეინტეგრაციისთვის, ოჯახთან ურთიერთობისთვის. ეს არის ელექტრონული პატიმრობა, ეს არის დაწესებულებები, საიდანაც შაბათ-კვირას ძალიან ბევრი პატიმარი სახლში, ოჯახთან ატარებს, ეს არის დაწესებულებები, სადაც დასაქმება, განათლება არის შესაძლებელი და სადაც რეალურად ფუნქციონირებს პირობითად გათავისუფლების მექანიზმი. ყველა ადამიანს, ვინც პატიმრობაში რჩება, ვისურვებ, მალე დაუბრუნდნენ ოჯახებსა და საზოგადოებას“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ. რაც შეეხება შეწყალების აქტს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს სალომე ზურაბიშვილის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა.

„კონსტიტუციით და კანონით პრეზიდენტს აქვს დისკრეცია, თავად მიიღოს შეწყალებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ბევრი საქმე იყო განხილული, როგორც ჩანს. არ ვიცნობ პერსონალურად იმ ადამიანთა საქმეებს, რომლებმაც პრეზიდენტს მიმართეს. მინდა, გითხრათ, რომ პრეზიდენტის აქცენტები შეწყალებასთან დაკავშირებით იყო სწორი და სახელმწიფოებრივი. რა თქმა უნდა, შეწყალება ვერ იქნება გამოყენებული მართლმსაჯულების პროცესის ალტერნატივად და შეწყალება ვერ იქნება რაოდენობრივი თვალსაზრისით ისეთი მასშტაბის, როგორც ეს იყო წინა შემთხვევებში“, — განაცხადა თალაკვაძემ. მისი შეფასებით, პრეზიდენტმა გადადგა ნაბიჯები, რომ საქართველოში შეწყალების პროცესი საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსი იყოს.

ანდრია ჯაღმაიძე: დეკანოზის გათავისუფლება ჩვენთვის მნიშვნელოვანი და სასურველი იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამით დასრულდებოდა სპეკულაციები

საქართველოს საპატრიარქოში შეწყალების შესახებ პრეზიდენტის მიერ გამართულ ბრიფინგთან დაკავშირებით განცხადება გაკეთდა.

საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელის, მამა ანდრია ჯაღმაიძის თქმით, განცხადების გაკეთება დეკანოზ გიორგი მამალაძის საკითხზე, მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გადაწყვიტეს.

ჯაღმაიძის თქმით, საპატრიარქოსთვის მნიშვნელოვანი, მისაღები და სასურველი იქნებოდა, რომ გათავისუფლებულიყო დეკანოზი.

ანდრია ჯაღმაიძის განმარტებით, თუნდაც იმიტომ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ამით სპეკულაციები დასრულდებოდა.

„უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის მიმართ სამწლიანი დაუსაბუთებელი ბრალდებების მიუხედავად, შეწყალების შუამდგომლობის გადაწყვეტილება მისი უწმინდესობის ინიციატივით მიიღო საქართველოს ეკლესიის უმაღლესმა მმართველმა ორგანომ, სინოდმა და სინოდის მიერ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შედგენილი წერილი, რომელიც გაეგზავნა პრეზიდენტს შეწყალების თაობაზე, არის უმაღლესი ლეგიტიმაციის, ძალიან მნიშვნელოვანი ეკლესიისთვის და ის გამოხატავს ეკლესიის ნებას. პრეზიდენტმა დღეს გაასაჯაროვა თავისი გადაწყვეტილება, დაასაბუთა თავისი ხედვა, თუ რატომ არ მოხვდა შეწყალებულთა სიაში დეკანოზი გიორგი მამალაძე. რომ აღარ ვისაუბროთ იმაზე, რომ სინოდის გადაწყვეტილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და რომ არ ვისაუბროთ იმაზე, რომ ადამიანური ფაქტორი და დამოკიდებულება პატიმრისადმი ისედაც გულმოწყალებას გულისხმობს, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მისაღები, სასურველი იქნებოდა, გათავისუფლებულიყო დეკანოზი, თუნდაც იმიტომ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ამ ხნის განმავლობაში მიმდინარე ეს პერფორმანსი დამთავრდებოდა. ჩვენ ცხადად ვხედავთ და აქამდეც გვითქვამს, რომ ამ ფაქტორს, დეკანოზ გიორგი მამალაძის მდგომარეობას ძალიან დიდი სპეკულაციები მოჰყვა და, ჩვენი აზრით, ბევრმა ადამიანმა ისარგებლა ამით, რომ ეკლესიის წინააღმდეგ გამოეყენებინა ეს და ჩვენი ხედვით გარკვეულ მძევლადაც კი არის ეს ადამიანი იმ ხალხის ხელში, ვისაც საკუთარი დივიდენდების მოპოვება სურს ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად. სურვილი, რომ დეკანოზი გათავისუფლებულიყო, შეიძლება, ამ კუთხითაც გავზომოთ, რომ ამით დასრულდებოდა ეს სპეკულაციები“, — განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ.

ჩამოვა თუ არა ევროსაბჭოს მინისტერიალზე სერგეი ლავროვი?

მაისში საქართველო ევროსაბჭოს მინისტერიალს უმასპინძლებს, ღონისძიებაში ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღებენ მონაწილეობას. ევროსაბჭოს წევრია რუსეთიც, ჩამოვა თუ არა საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, ჯერ უცნობია.

რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ წარმომადგენლის მარია ზახაროვას ინფორმაციით, მინისტრის ვიზიტის შესახებ ჯერ საუბარი ნაადრევია, თუმცა შეგვპირდა, რომ მინისტრის გრაფიკს დააზუსტებს. ხოლო რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, უწყებაში არც ადასტურებს და არც უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, მინისტერიალის ფარგლებში საქართველოში სერგეი ლავროვი ჩამოვა თუ არა.

არჩილ თალაკვაძე: საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ლავროვს დახვდება პროტესტი და ჩვენი გუნდის პრინციპული განცხადებები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ, თუ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველოში ჩამოვა, მას დახვდება ხელისუფლების პრინციპული პოზიციები, რომ რუსეთის ფედერაციამ აღებული ვალდებულებები შეასრულოს.

არჩილ თალაკვაძემ საქართველოში ევროპის საბჭოს მინისტერიალის ფარგლებში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ არ აქვს ინფორმაცია, უცხო ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აპირებს თუ არა საქართველოში ჩამოსვლას.

„სხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრზე ნამდვილად ვერ გეტყვით, სად ჩავა. საქართველომ ჩაიბარა ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობა, შესაბამისად, ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა, რაც ტრადიციულად თავმჯდომარეობის ფარგლებში ტარდება თავმჯდომარე ქვეყნების მიერ, ის ღონისძიებები ჩავატაროთ საქართველოში, მათ შორის არის მინისტერიალი. ჩამოვა თუ არა ამ შეხვედრაზე სხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, მე ამაზე ნამდვილად ვერ გიპასუხებთ. თუ ის ჩამოვა, საქართველოში დახვდება პროტესტი იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია, საქართველოში დახვდება ხელისუფლების პრინციპული პოზიციები, რომ შეასრულოს რუსეთის ფედერაციამ ვალდებულებები, საქართველოში დახვდება კონკრეტული დასკვნები და შეფასებები იმ საქმეების, სადაც ჩვენი მოქალაქეთა უფლებები მძიმედ ირღვეოდა, მკვლელობები, გატაცებები, უკანონო პატიმრობები და საქართველოში დახვდება ძალიან პრინციპული განცხადებები ჩვენი სახელისუფლო გუნდის მხრიდან“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

... ბურთი ოპოზიციის მოედანზეა, ველოდებით მათ რაციონალურ პასუხს

პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის მორიგი შეხვედრა სავარაუდოდ იანვარში გაიმართება. როგორც თალაკვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრას მომზადება სჭირდება და ამ მიზნით ოპოზიციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გაიმართება.

ამასთან, თალაკვაძის თქმით, მმართველმა გუნდმა საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით ოპოზიციას კონკრეტული წინადადება უკვე შესთავაზა და ახლა პასუხს მათგან ელოდებიან.

„იცით, რომ ჩვენ შეთავაზებები გავაკეთეთ, ბურთი არის მათ მოედანზე და ვნახოთ, როგორი იქნება დაფიქრების და განსჯის შემდეგ ოპოზიციის პასუხი ამ შეთავაზებაზე. ვფიქრობ, რომ 100-50 არის რეალისტური შეთავაზება, ის მკვეთრად ამცირებს მაჟორიტარულის რაოდენობას და მკვეთრად ზრდის პროპორციული მანდატების რაოდენობას, რაც იყო კიდეც ოპოზიციის მოთხოვნა. ამიტომ, ველოდებით ამაზე ოპოზიციის რაციონალურ პასუხს“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

სვანეთი დასავლეთ ალპებს ჰგავს, მაგრამ 500 მეტრით მაღლაა

საქართველოში ავსტრიის ელჩი არად ბენკო სვანეთს დასავლეთ ალპებს ადარებს.

„ჰელისკიინგი საქართველოში! თუ გიყვართ გაუკვალავ თოვლში სრიალი, სასწაულებრივი სანახაობები და ხელუხლებელი ბუნება — წადით სვანეთში, რომელიც დასავლეთ ალპებს ჰგავს, მაგრამ 500 მეტრით მაღლაა. უშბა“, — წერს ბენკო სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

ჰელისკიინგი ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს მთაზე ვერტმფრენით მოხვედრას და გაუკვალავ თოვლში სრიალს სთავაზობს. აღნიშნული სერვისი სა-

ქართველოს რამდენიმე კურორტზე არის ხელმისაწვდომი.

ტურისტები ზამთრის კურორტებს ტოვებენ!

ზამთრის კურორტს წყლის პრობლემის გამო ტურისტები ტოვებენ. სასმელი წყლის პრობლემა უკვე რამდენიმე დღეა ბაკურიანს აწუხებს. დამსვენებლებს წყლის პრობლემა შეექმნათ გუდაურშიც, სადაც ანალოგიური მდგომარეობაა.

გუდაურში „რედკოს დასახლებასაც“ წყალმომარაგების პრობლემა რამდენიმე დღის წინ შეექმნა. წყალმომარაგების კომპანიაში აცხადებენ, რომ გუდაურში წყლის მიწოდების აღსადგენად სამუშაოები მიმდინარეობს.

როგორც კომპანია „რედკოს“ დირექტორის მოადგილე აცხადებს, წყალმომარაგების შეზღუდვასთან დაკავშირებით საკითხი შესაბამისმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ და მიუხედავად არაერთი დაპირებისა, წყალმომარაგება კვლავ არ არის აღდგენილი. მისი თქმით, მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება სახანძრო მანქანების რეზერვუარების გამოყენებით ხდება. კომპანია „რედკოს“ წარმომადგენელი აცხადებს, შექმნილი ვითარების გამო კომპლექსი ტურისტებმა დატოვეს.

ბაკურიანიდან არავინ არ გაქცეულა!

გუდაურში წყალი ამ დროისთვის ყველა დასახლებას, სასტუმროსა და ტურისტულ ობიექტს მიეწოდება, — ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორმა ეკატერინე გალდავამ განუცხადა.

მისი განმარტებით, გუდაურში წყლის მიწოდების პრობლემა აღარ არსებობს, თუმცა ყინვების გამო, შესაძლოა, წყლის წნევის ცვლილებები აღირიცხოს, შესაბამისად, ყოველ ერთ საათში მონიტორინგი და რეზერვუარების შემოწმება ხორციელდება.

რაც შეეხება ბაკურიანს, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის თქმით, ბაკურიანში წყალი პრობლემების გარეშე მიეწოდება მოსახლეობისა და სასტუმროების 90 პროცენტს. თუმცა 20-მდე სასტუმროს წყალმომარაგების პრობლემა აქვს, ვინაიდან მათ შიდა ინფრასტრუქტურა დროულად არ მოაწესრიგეს. როგორც გალდავამ აღნიშნა, წყალმომარაგების კომპანია ასეთ სასტუმროებს წყალს რეზერვუარებით აწვდის.

გუდაურში არსებული „რედკოს“ დასახლების კორპუსებს წყლის მიწოდება 31 დეკემბრის საღამოს შეუწყდა. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ინფორმაციით, ამის მიზეზი მცირე ნალექი გახდა. კომპანიამ პრობლემის მოსაგვარებლად ტექნიკური სამუშაოები ჩაატარა, თუმცა პრობლემის სრულად მოგვარება რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა. კომპლექსს წყლის მიწოდება უკვე აღუდგა.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებები, თითქოს წყალი არავის მიეწოდება და ბაკურიანიდან დამსვენებლები გარბიან, არის სიცრუე და აბსოლუტურად უსაფუძვლოა, — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა განაცხადა, რომელიც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ბაკურიანში იმყოფება.

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის აბონენტების 90% სრულად მარაგდება წყლით 24 საათის განმავლობაში, პრობლემურია დაახლოებით 10%, სადაც აბონენტების ნაწილი წყალს გრაფიკით იღებს, ნაწილს კი, წყალმზიდებით ვამარაგებთ.

ამ დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების მოძიება და ვიმედოვნებთ, რომ დღეს ღამით უკვე დამთავრდება სამუშაოები, რომელიც მოგვცემს საშუალებას, შევავსოთ ის რეზერვუარები, საიდანაც მარაგდება მთლიანად ბაკურიანი. შედეგად, არსებული გათვლებით, კიდევ 60%-ით გაიზრდება წყალმომარაგება. მინდა, კიდევ ერთხელ ყველა დავარწმუნო, როგორც ჩვენი მოსახლეობა, ისე სტუმრები, რომ ყველა სამსახური მობილიზებულია და ვცდილობთ, პრობლემის ბოლომდე აღმოფხვრას, სასტუმროების მენეჯერებს და მედიასაშუალებებს კი მინდა ვთხოვო, რომ იყვნენ მაქსიმალურად ადეკვატურები, როდესაც ამბობენ, თითქოს კურორტი საერთოდ პარალიზებულია“, — განაცხადა ილია ბეგიაშვილმა.

მინისტრის მოადგილე ბოდიშს უხდის ყველას, ვისაც დისკომფორტი შეექმნა წყლის მიწოდებაში არსებული ხარვეზების გამო და ვითარების ოპერატიულად გამოსწორებას ჰპირდება.

ბაზრობებზე მოვაჭრეებს სალარო-აპარატები 2022 წლამდე არ დასჭირდებათ

ფიზიკური პირები, რომლებიც ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე საქმიანობენ, სალარო აპარატების გამოყენებისგან 2022 წლამდე თავისუფლდებიან.

პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, 2022 წლის პირველ იანვრამდე საკონტროლო სალარო-აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან.

სალარო-აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან არ თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი, ან დარეგისტრირებული არიან დღგ-ის გადამხდელად. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველი იანვრიდან რამდენიმე რეგულაცია და ცვლილება უკვე ამოქმედდა.

კერძოდ, 2020 წლის პირველი იანვრიდან საოჯახო სასტუმროებისთვის წყლის საფასურის გადახდის ახალი წესი ამოქმედდა; პირველი იანვრიდან აიკრძალა სტადიონებზე თამბაქოს მოწევა; დადგინდა 100-ლარიანი აქციზი სპორტული ავტომობილისთვის; პირველი იანვრიდან არასათანადო შეფუთვაში ჩამოსხმული სპირტიანი სასმელები ვეღარ გაიყიდება.

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი ულოცავს

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ბერიძეთა გვარის საგვარეულო დარბაზი ქრისტეს შობასა და ახალ 2020 წლის შემობრძანებას ულოცავს:

ქართველო ერო – ღვთით ნაკურთხო და დალოცვილო, ყოვლად ძლიერო და გონიერო, პლანეტის მშვენებავ, ნიჭიერებით აღსავსევ, სამი ანბანის მქონევ, სტუმართმოყვარევ, სათნო და მიმტევებელო, რწმენითა და სიყვარულით ამაღლებულო, მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში განსაკუთრებული წვლილის შემტანო – შენი ყოფიერების ერთი პატარა უჯრედი ბერიძეები (მოსახლეობის 1%) გულწრფელად გილოცავთ ქრისტეს შობასა და ახალ წელს.

უფალს შევთხოვთ შენს დღეგრძელობასა და უკვდავებას, გამრავლებას, სულიერად ამაღლებას, დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას და გაბრწყინებას.

უფალმა დაგლოცოს ერო ბრწყინვალევ!

ჩვენო სულიერო მამავ, უწმინდესო ილია! გულითად მადლობას გიხდით ყოველდღიური შვიდგზის ლოცვებისთვის და ქართველი ერის სულიერებაზე ზრუნვისთვის. ერისა და ბერის ძენი – ბერიძეები შემოქცქერით თქვენ და თქვენის მეოხებით ვხედავთ უფალს. ბერიძეებმა თქვენგან ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ სულიერი ჯვარი და გულით ვატაროთ იესოს სიყვარული და ჭეშმარიტი სარწმუნოება.

თქვენო უწმინდესობავ, ხომ არ დადგა დრო იმისა, რომ კვლავ ჩავატაროთ რუის-ურბნისის კრების ანალოგი: ვარძია – გელათი – სვეტიცხოვლის სასულიერო და საერო კრება, ერის სულიერი განწმენდის მიზნით, რათა ღირსეულად შევხვდეთ მეორედ მოსვლის ჟამს? ვფიქრობთ, ეს აუცილებელია, რადგან ცალკეული მღვდელთმთავრები ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი გაუკულმართებული პირადი ინტერესებით და ფანტაზიებით „შემოქმედებით ცხოვრებას“ ეწევიან. მათ გულებში იესოს ადგილი მაცდურმა სატანამ დაისადგურა. გაგვიძეხი წინ და მოგყვებით 30 ათასი ბერიძე.

საქართველოს პრეზიდენტო, გილოცავთ საზეიმო დღესასწაულებს და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, ენთუზიაზმს, გონიერებას, გარჯა-განსჯასა და ნაყოფიერ შემოქმედებას. შეგთხოვთ, რათა გაითვალისწინოთ ერის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემები და ხარისხიანად დაარეგულიროთ და გადაჭრათ. უფალმა გიწყალობოთ ოჯახური სიკეთე.

ქალბატონო სალომე, თქვენი პრეზიდენტად არჩევიდან უკვე ერთი წელი გავიდა. ქვეყანაში არსებული პრობლემების ფონზე თქვენ მიერ გაწეული მუშაობა არასაკმარისია! თქვენ ბრძანდებით ერის კონსტიტუციის განხორციელების გარანტი და უმაღლესი მთავარსარდალი. ამ კუთხით ჩვენი თვალთახედვის ორბიტაზე თითქმის არ ჩანს თქვენი შემოქმედება.

ქალბატონო სალომე, წინა წლებში შპს-ს ღირსებამდე დაქვეითებული პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაცოცხლებასა და ამაღლებას, მეტ აქტიურობას, ბრძოლისუნარიანობას, ხალხთან დგომასა და შემოქმედებით გარჯას გთხოვთ. ისარგებლეთ დიდი დავითის, რიშელიესა და ბისმარკის, პეტრე დიდისა და სტალინის რეფორმებით გამოიყენეთ თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები და შექმენით ერის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების კონცეფცია. უფალი გფარავდეთ!

ბატონო ბიძინა, ბერიძეებს არაფერი გვითხოვია და არც არაფერზე შეგაწუხებთ გარდა ერთისა, ხელისუფლებასა და პარლამენტში მოიყვანეთ სუფთა რეპუტაციის ადამიანები. დღეს ქვეყანას განსწავლული, ტაქტიანი, პრინციპული და სათნოებით აღსავსე ადამიანები სჭირდება. აირჩიეთ ადამიანები, რომლებსაც ლიდერის ფუნქცია გააჩნიათ. მოსაწყენია პარლამენტართა და საჯარო მოხელეთა მხრიდან წაყენებულ ცრუ ბრალდებებსა და ცილისწამებაზე მხოლოდ თავის მართლება. ერიდეთ ცხრა მთავრობის ხარჭას, მლიქვნელსა და გადაგვარებულს, რადგან მათთვის სამშობლო არარას წარმოადგენს, გაითვალისწინეთ ის, რომ ისინი მხოლოდ თქვენს ფულს ეტრფიან. 150-ვე დეპუტატობის კანდიდატს პირადად გაესაუბრეთ და ისე მიეცით რეკომენდაცია. უფალმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი ოჯახი, თქვენი საქმე და სამშობლო.

დიდება უფალს! რომ საქართველოს ახალ აღმაშენებლად მოევლინე, გაიხარე და გამრავლდი შვილებსა და შვილიშვილებში. გისურვებთ ოჯახურ ბედნიერებას და სამშობლოს ტრფობას. მისასალმებელია, რომ ქალბატონ ეკასთან ერთად ბრძანდებით ნამდვილი მართლმადიდებელი სათნოებით, რომ არ ჰყვებით ცალკეულთა დაუფიქრებლად და აუგად მოხსენებას და ასეთი ადამიანები არ მიგაჩნიათ პირად მტრად, უფრთხილდებით სამშობლოს სიყვარულსა და ქრისტეს რწმენას. საკუთარი ბიზნესის უდიდეს ნაწილს დებთ ქვეყნის აღმშენებლობაში. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ბატონო პრემიერო, მოლოცვასთან ერთად ყოველივე საუკეთესოსა და წარმატებულს გისურვებთ. შევთხოვთ უფალს, გიწყალობოთ ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პრობლემათა დაძლევის მგზნებარება, ენერგია, სულიერი რწმენა და იმედი გამარჯვებისა!

ბატონო გიორგი, თქვენთვის კარგად ცნობილია, რაოდენ რთულია აღმასრულებელი ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობის სტილი. საპრეზიდენტო და საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობა მაინც ძირითადად თეორიულ ასპექტებში მიმდინარეობს, აღმასრულებელში კი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული წესით. თეორიულად დამუშავებული და მიღებული კანონი გარკვეულწილად მაინც „ნახევარფაბრიკატია“ და მართლა ძნელია, რათა სრულყოფილად მოარგო იგი მოვლენასა თუ პრაქტიკულ საქმეს. უამრავი წინააღმდეგობები ახლავს მას. ამ პროცესების გადაწყვეტა მთავარი ვაჟკაცობაა, რომელიც დიდ პროფესიონალიზმსა და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მიღებულ კანონს შეაჯერებთ პრაქტიკოსებთან და ისე გადაწყვეტთ პრობლემებს. საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებებს შეიტანთ თვით ამ ახალ კანონში. ეს საშუალებას მოგცემთ შესრულების ხარისხის ამაღლებასა და შეამოკლებს შესრულების დროს.

ვფიქრობთ, აღმასრულებელ ხელისუფლებას დიდი მუშაობა მართებს ახალგაზრდობასთან დამოკიდებულებაში. გასატარებელია ეროვნული რეფორმები განათლებისა და მედიცინის დარგებში. მისაღებია კანონი მრავალშვილიან ოჯახებზე ზრუნვის შესახებ. უფალმა გიწყალობოთ წარმატებები. გაიხარეთ ოჯახურად!

აჭარის ხელისუფალნო, ბატონებო თორნიკე რიჟვაძევ და დავით გაბაიძევ, ქრისტეს შობასა და ახალ წელს გილოცავთ! თქვენს ოჯახებთან და მთელ აჭარელ ხალხთან ერთად იდღეგრძელეთ, გამრავლდით და გაიხარეთ, დატკბით ამქვეყნიური სიყვარულითა და სიკეთით. გისურვებთ განსაკუთრებულ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში. გვსურს, მადლობა მოგახსენოთ იმ თანადგომისთვის, რასაც თქვენ იჩენთ მოსახლეობისა და რიგითი ადამიანების მიმართ. ამას განსაკუთრებით ვგრძნობთ ბერიძეები, როცა ყველა კარგ და ეროვნულ საქმეში მზრუნველ ყურადღებასა და თანადგომას გვიცხადებთ. ბერიძეების 60% (17300 სული) ხომ აჭარაში ცხოვრობს.

გვსურს, ხაზი გავუსვათ აჭარელი ხალხის ღირსეულ დანიშნულებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სრულყოფის საქმეში, თქვენს ძირძველ ტრადიციებს, სამშობლოსადმი განსაკუთრებულ სიყვარულს. ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანული რწენა და კულტურა პირველად დიდ აჭარაში გვიქადაგა, ღვთისმშობლის მიერ გამოტანებული ხელთუქმნელი ხატით. იქ ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებულ ქრისტეს სალოცავ სახლს ანალოგი არა აქვს. იგი უპირველესია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ბერიძეებს წელს გვსურს, აღვადგინოთ ეს სახლი, როგორც სახლ-მუზეუმი და მთელ აჭარელ ხალხთან ერთად ავალაპარაკოთ ევროპა და ქრისტიანული სამყარო.

საქართველოვ, დედავ ჩემო, ჩემი სუნთქვა გენაცვალა,

ჩემი ყველა მქუხარება, მწუხარებაც გენაცვალა! (ზ. გორგილაძე)

ბერიძეები 2020 წელს, ზესოფლის ბრყინვალე ტაძრის, სამშობლოს სადარაჯოზე შექმნილი მონუმენტის, ფურტიოს სკოლისა და სხვათა აღმშენებლობის პარალელურად ვგეგმავთ, კიდევ ერთი სანაქებო სიტყვა ვთქვათ აჭარის აღმშენებლობაში და ანდრია პირველწოდებულის 2000 წლის წინანდელი უფლის სალოცავი სახლი აღვადგინოთ.

დღეს აჭარაზე ზრუნვა ქართველი ერის უპირველესი პრიორიტეტია.

ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს მოგაგებთ პატივს და გულით გილოცავთ ქრისტეს შობას, ახალ წელს და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს! გაიხარეთ თქვენს ოჯახთან ერთად და იდღეგრძელეთ. თქვენი განვლილი ცხოვრების გზა გაკვალულია სწავლით, შრომით, ჭეშმარიტი რწმენით, პრინციპულობით, სათნოებითა და ოჯახის სიყვარულით. 16 წლის ობლად დარჩენილმა ყმაწვილმა (მამის გარდაცვალების შემდეგ) უდიდესი ძალისხმევით და გარჯით მიაღწიეთ საქართველოს თავკაცობას და ოთხი წელიწადი მართეთ ქვეყანა საოცრად რთულ დროს: საბჭოთა კავშირის ნგრევისა და ევროპის რეკონსტრუქციის, დივერსიებისა და ინტრიგების ეპოქაში. საზღვარგარეთ დაგეგმილ სამგზის დივერსიას თქვენ ქართული ქედმაღლობით არ უპასუხეთ, თავად დასაჯეთ საკუთარი თავი, აიღეთ მთელი პასუხისმგებლობა და ანთებული მძლავრი ალი ერისთვის ხანძრად არ აქციეთ. ამით თქვენ ქართველი ერი ზესახელმწიფოთაგან სამაგალითოდ დასჯას გადაარჩინეთ. მაგრამ დაიტოვეთ უკმარისობის დიდი განცდა. ბატონო ჯუმბერ, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთი ბედ-ილბალი ახლდა ბაგრატოვან მეფეებს. თქვენ უკმარისობის განცდა სათნოებაში და საქმეში გადაიტანეთ, გაუძელით კიდევ 9-10-წლიან დევნა-შევიწროებას და გამძლეობის სიმბოლოდ იქეცით. რას იზამთ, დიდი ტოლსტოი წერდა: ცხოვრება რომ აიტანო, ორ რამეს უნდა გაუძლო: ჭრილობებს, რომელსაც დრო გვაყენებს და ტკივილებს, რომელსაც ადამიანები გვაყენებენ!

რაოდენ სასიხარულოა, რომ თქვენ ამ სულიერი გაჭირვების ჟამს თან გახლდათ ოჯახური სიმყარე – ქალბატონი თინა, შვილები და შვილიშვილები: გიგა, პაატა, მარიამი, ჯუმბერი, ლევანი და გიორგი და, რაც მთავარია, 2019 წელს მოვლენილი სიკეთე, შვილთაშვილი საქალბატონე ქეთევანი. როგორც თქვენს წიგნში წერთ, ყოველ დილით მაჩაბლებს უყურებთ, შებრუნდებით ოთახში და ილიას სულს ემუსაიფებით, ეზოში ბროწეული ყვავილობს, ზღვისპირეთის ბამბუკები ირხევიან, კერა ანთია... მაშასადამე, სიკეთე აღარ კოჭლობს, მოდის და მოვა! ბალზაკი წერდა: ყველაფერი თავის დროზე მოდის მათთვის, ვისაც ლოდინი შეუძლია! იმედიან ლოდინს და კიდევ ერთ 80 წელს გისურვებთ დიდო და გამძლე მამულიშვილო.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ზაქარია ენდელაძეს! უფლისა და საერო დღეგასწაულებს გილოცავთ თქვენ და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოსახლეს. გამრავლდით და დატკბით ცხოვრებისეული სიკეთით. მიგვაჩნია, რომ თქვენ ხელმძღვანელობთ მუნიციპალიტეტს, რომელსაც ეროვნული სიდიადე და საეკლესიო შარავანდი მოსავს. სიტყვა „ადიგენი“ ხომ მოწოდებაა: ადი-დე-გენი ქართველთა. ქართული გვარი შავშეთიდან პირველად მესხეთში შემოვიდა და ოჯახური სიდიადე გვარის ფენომენამდე ამაღლდა. ამ მოვლენას ზართა ზეობა მოჰყვა და ზარზმა იშვა, მას ოქროს ციხე მოჰყვა და ზეობა ათონის მთამდე გავრცელდა. ამას მოჰყვა უდიდესი მადლი. ამიტომაა, რომ დღეს აქ მაცხოვრებელ ძირძველ მესხებს, ჩამოსახლებულ იმერლებს, რაჭველებსა და აჭარლებს მამულიშვილური სიყვარული და პატივისცემა მოსავთ. ალბათ, ამ მადლმა და სულიერებამ დაისადგურა თქვენში, რომ 11 ნოემბერს ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტთან, მის მაღალ უსამღვდელოესობასთან თეოდორესთან (ჭუაძესთან) ერთად ჩაატარეთ ტრადიციული ზარზმობა. ფაქტობრივად, საეკლესიო (წირვა) და საერო დღესასწაული (ზეიმი, კრება), რომელიც ორივეს სადიდებელი დარბაზული ტრაპეზით დასრულდა. ბატონო ზაქარია, დღეს ძალზე ბევრს ლაპარაკობენ ქვეყანაში რუის-ურბნისის კრების ჩატარების აუცილებლობაზე. ჩვენც ვთვლით, რომ ეს აუცილებელია. მაგრამ თქვენ უკვე ჩაატარეთ მსგავსი ღონისძიება ზარზმობა და ყველა მადლითა და სიყვარულით აღავსეთ. და, თუ ყველა მუნიციპალიტეტში მსგავსი ღონისძიებები ჩატარდება, მაშინ მნიშვნელოვნად გაადვილდება რუის-ურბნისის საერო-საეკლესიო კრების მეორედ ჩატარება ერის განწმენდისა და სულიერი ამაღლების მიზნით. დავდგეთ ყველა ერთად და ადიგენის მუნიციპალიტეტი ვაქციოთ სანიმუშოდ და მისაბაძად ყველა მუნიციპალიტეტისათვის.

ბერისა და ერის ძენო ბერიძეებო! ჩემო ძმებო და ბიძაშვილებო, გილოცავთ ქრისტეს შობასა და ახალ წელს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ოჯახში, გვარსა და ერში. გისურვებთ სულიერი ჯვარის აღმართვას, რომელიც ვერტიკალურად უფლისკენ იქნება მიმართული, ჰორიზონტალურად კი – მოყვასის სიყვარულისკენ. გამრავლდით და გაიხარეთ. არავითარი საზღვარგარეთი! ბერიძე მხოლოდ საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. 11 ათას ოჯახში იშვას ახალი წევრი მომავალ შობამდე, რათა 11 ათასი ბერიძე შევმატოთ ერის გენობრივ ფონდს. ამაზე დიდი საჩუქარი ქვეყანაზე არ არსებობს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყველაფერს უნდა მივაღწიოთ ჩვენი შრომით, უფალი გვიწყალობებს მხოლოდ იმას, რასაც დავიმსახურებთ. არ გვიწყალობებს იმას, რისი მიღწევაც ჩვენ შეგვიძლია. გვიყვარდეს გვარი, ოჯახი და ერი. დიდება ჩვენს სამშობლოს.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

ვაჟა ბერიძე,
ბერიძეთა გვარის ეთნარქი, ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი

2020 წლის 7 იანვარი – ქრისტეს შობა
ტელ. 599 33 53 60

◎ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ“!

ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ჩემი რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** სკოლის მოსწავლეების მიერ სმარტფონებით ინტერნეტში ხანგრძლივი დროით ქექვის შედეგად, სარკისადმი მიდრეკილების გამო მათი „სოციალურ ნარკომანებად“ გარდაქმნის შესახებ. მობილურებთან ბავშვების ხანგრძლივი დროით თამაში მედიკოსებისა და ფსიქოლოგებისათვის ერთ-ერთი პრობლემა გახდა, რაც აღიარებულია როგორც ფსიქოგენური სინდრომი, ანუ ინფორმაციული პათოლოგია. ამერიკაში გამოქვეყნებულ ჩემს წერილს **„სოციალური ნარკომანიის“ შესახებ** მოსახლეობის ათასობით მოქალაქე გამოეხმაურა, სამწუხაროდ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია არც სკოლებისადმი პასუხისმგებელი პირების, არც პარლამენტარებისა და არც მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. შედეგები კი, მოგეხსენებათ, უმძიმესია. მობილურ ტელეფონებთან მოსწავლეთა ხანგრძლივი დროით თამაშისას შეინიშნება მხედველობის გაუარესება, მოგვიანებით სმენის დაქვეითება, არის ეპილეფსიისა და თავის ტვინში ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკი მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების გავლენით. აღინიშნება ხანმოკლე მეხსიერების გაცუდება, არაკონტროლირებადი ქცევები, ძილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის მელატონინის სეკრეციის დაქვეითება, რაც განაპირობებს ცირკადული რითმისა და შედეგად, ძილის დარღვევას. მშობელთა გამოკითხვის შედეგად დავრწმუნდი, რომ ბავშვებმა თავი დაანებეს ლიტერატურის კითხვას, რაც მთავარია, მათ ქცევებში შეინიშნება აგრესიული დამოკიდებულება მშობლების მიმართ და საზოგადოებისაგან სოციალური იზოლაცია, ისე როგორც ეს აუტისტური სპექტრის აშლილობისას აღინიშნება ბავშვებში. სპეციალურ ლიტერატურაში მას ვირტუალურ აუტიზმს უწოდებენ. აბა, ბავშვს ჩამოართვით ტელეფონი და აშკარად დაინახავთ თქვენდამი მათ აგრესიულ დაუმორჩილებლობას. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი მშობელი, თურმე ბავშვის კვებისას, სმარტფონს იყენებს კვების დროს მის გასართობად, ეს კვება არ არის.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როდესაც მაიმუნს შეასწავლეს მობილურის მოხმარება, მან უწყვეტლივ განაგრძო მობილურით თამაში რამდენიმე კვირის განმავლობაში და მიატოვა კვება. გააგრესიულებულ მაიმუნს, ძლივს გამოჰგლიჯეს თათიდან მობილური ტელეფონი. მაიმუნი იმდენად აგრესიული გახდა, რომ ზოოპარკის მომსახურე პერსონალი იძულებული იყო, დამამშვიდებელი პრეპარატით დაეთრგუნა მისი აგრესიულობა.

ჩემს წერილთან დაკავშირებით, ერთმა მშობელმა დამირეკა და მომიყვა თავისი ქალიშვილის ტრაგიკული ამბავი, თუ როგორ შეუყვარდა ტრანსგენური ვაჟი, რომელმაც ტკბილი საუბრით დაარწმუნა სიყვარულში, ბოლოს მან შესთავაზა, გაეგზავნა გოგონას თავისი შიშველი სურათი, რასაც მოჰყვა შანტაჟი ფულის გამოძალვის მიზნით, გოგონა კი დარჩა ვირტუალური ვაჟისგან მიტოვებული. სტრესის ქვეშ მას თავის მოკვლის სურვილი გაუჩნდა. დაახლოებით მსგავსი შინაარსის ტექსტი ბევრი მშობლისგან მივიღე.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საგანგებოდ დაავალა მთავრობის წარმომადგენელს, ქალბატონ მეზვრიშვილს, შეექმნა კომისია ამ პრობლემის შესწავლისა და დაძლევის მიზნით, თუმცა სატელევიზიო გადაცემაში რაიმე სერიოზული აზრი ვერ მოვისმინე. ფსიქოლოგები საუბრობდნენ დაავადების მავნეობის შესახებ, რაც პრაქტიკულად საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, თუმცა ვერაფერი მოვისმინე პრევენციის შესახებ. სამწუხაროდ, არავინ აღიარებს, რომ ამ პრობლემის განსჯა ფსიქობიოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს, ვინაიდან ხანგრძლივი დროით მობილურ ტელეფონებთან ურთიერთობის შედეგად არანორმალური ქცევის კოდირება ხდება გენეტიკური აპარატის დონეზე, ამიტომ არა ფსიქოთერაპიული, არამედ სხვა სახის, ნეირობიოლოგიური მიდგომებია საჭირო, ამას კი დიდი დრო სჭირდება.

გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებულ წერილში სკოლის მოსწავლეების სამკურნალო პრევენციის მიზნით ჩვენ შევთავაზეთ, ბავშვები დაესაქმებინათ მათთვის სასურველი დარგებით, როგორიცაა სპორტი, ხატვა, მუსიკა, სამეცნიერო-სასწავლო წრეებში და მოსწავლეთა მიერ თეატრალურ სპექტაკლებში მონაწილეობა და სხვა, თუმცა დაავადების ხანგრძლივობისგან დამოკიდებულებით, ჩემი გამოცდილების მიხედვით, სიღრმისეული **„სოციალური ნარკომანიის“** დაავადების პირობებში ასეთი სახის მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. ამას წინათ რამდენიმე ჩემს მეგობარს დავურეკე მობილურით და გაოცებული დავრჩი, მობილურის ზარზე 4-5 წლის შვილებმა თუ შვილიშვილებმა გამცეს პასუხი, ეს დიდი უპასუხისმგებლობაა, პერსპექტივაში არის სერიოზული შანსი, რომ ისინი ნადრევად „სოციალურ ნარკომანებად“ ჩამოყალიბდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, შემექმნა ტელეგუნდი, რომელთა ერთობლივი ძალით შევაგროვებდით 200000 ხელმოწერას (სახელი, გვარი და პირადობის ნიმერი) სკოლებისა და საბავშვო ბაღების მოსწავლეთა მიერ სმარტფონებით ინტერნეტის სარგებლობის აკრძალვის შესახებ. სხვათა შორის, ზოგიერთმა სახელმწიფომ სმარტფონების გამოყენება აკრძალა არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის, არამედ ინტერნეტით გადაცემებიც კი შეაჩერა შაბათ-კვირას მოსახლეობის ფსიქოემოციური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათ დასამშვიდებლად.

ჩემი ელექტრომისამართია: aleksidze.nugzar@yahoo.com. გთხოვთ, დამიჭიროთ მხარი ამ წამოწყებაში, შეაგროვეთ ხელმოწერები და გადმომიგზავნეთ, რათა ჩვენი ერთიანი ძალით დავიცვათ სკოლისა და საბავშვო ბაღების მოსწავლეები „სოციალური ნარკომანიისაგან“.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

◎ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲩᲐᲙᲐᲑᲔᲠᲘᲐ



2 იანვარს 70 წელი შეუსრულდა ჩვენს კოლეგას, ენგურჰესის სახელოვან მშენებელს — საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს მურმან ჩაკაბერიას.

ბატონი მურმანი დაიბადა 1950 წელს გალის რაიონის სოფელ ბარღებში მასწავლებლების ოჯახში. 1974 წელს დაამთავრა კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი და მიიღო მშენებელი ინჟინრის კვალიფიკაცია.

1974 წელს დაიწყო მუშაობა ენგურჰესის მშენებლობაზე. წლების განმავლობაში ის ღებულობდა უშუალო მონაწილეობას ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის აგებაში. „ენგურკაშხალმშენის“ სამმართველოში მან საწარმოო საქმიანობის ყველა საფეხური გაიარა. ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ უბანს, აშენებდნენ ურთულეს ნაგებობას — თაღოვან კაშხალს.

მურმან ჩაკაბერია გახლავთ ავტორი უამრავი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისა. მან შექმნა შესანიშნავი ოჯახი და დღეს გახლავთ დამსახურებული ბაბუა და თავკაცი ამ დიდი ოჯახისა.

1988 წლიდან მურმან ჩაკაბერია ინიშნება „ენგურჰესის“ მშენებლობის საწარმოო განყოფილების უფროსად. მშენებლობის სამმართველომ დაიწყო ახალი ობიექტის — ხუდონჰესის მშენებლობა და საწარმოო განყოფილებას დაევალა ამ ობიექტის ტექნიკური აღჭურვილობა და მომარაგება.

1994 წლიდან, როცა ფაქტობრივად შეწყდა სამუშაოები ხუდონჰესის მშენებლობაზე, მურმან ჩაკაბერიამ გააგრძელა მოღვაწეობა მოსკოვისა და კიევის სამშენებლო ობიექტებზე.

დღესაც ეს დაუღალავი ადამიანი იღვწის ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მან დააფუძნა შპს „გეოპარიტეტი“ და ეხმარება თანამედროვე მშენებლებს და დამპროექტებლებს სამშენებლო ობიექტებზე გეოლოგიური დასკვნების გამოტანაში. ვუსურვებთ ამ დაუღალავ ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ და რამდენიმე დიდი ქალაქის საჯარო სკოლებში 2020 წელს ვიდეოკამერები დამონტაჟდება, ეტაპობრივად კი ვიდეოკამერებით ქვეყანაში არსებული ყველა სკოლა აღიჭურვება. დაგეგმილია ასევე სკოლების აღჭურვა დეტექტორებით. განათლების შესახებ კანონში მიღებული ცვლილებების მიხედვით, იგეგმება საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახურის გაძლიერება, ხოლო კერძო სკოლებში — უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება.

ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲕᲐᲠᲗ

ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, თუმცა წინასწარი მონაცემებით, გრიპის ვირუსით დაავადების სტატისტიკა არ არის საგანგაშო. მისი თქმით, ქვეყანა ეპიდემიური აფეთქებისგან შორს არის.

მისივე თქმით, ქვეყანაში ძირითადად B ტიპის ვირუსი ცირკულირებს, რომლიც შედარებით მსუბუქია და საშუალო სიმძიმით მიმდინარეობს.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ორსულები და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები (100 000 ქულამდე) სამედიცინო ჩვენების საფუძველზე მედიკამენტ „ტამიფლუს“, რომელიც გრიპის სამკურნალოდ გამოიყენება, უფასოდ მიიღებენ.

უწყების განმარტებით, მედიკამენტის მიღებისთვის აუცილებელია რეცეპტის, პირადობის მოწმობისა და ჯანმრთელობის შესახებ ცნობის (NV-100Ia) წარდგენა.

უინსტონ ჩერჩილი: დემოკრატია მართვის ყველაზე უარესი ფორმაა...

ე. ჰემინგუეი: — სერ უინსტონ, თქვენ ამხელა ცხოვრების გზა გაქვთ გამოვლილი, ბევრი რამ კარგიც ნახეთ და ძალიან ცუდიც. თავს როგორ გრძნობთ, ხომ არ დაიღალეთ. თქვენ იმდენი დაწერეთ, მარტო იმ თქვენი სამოცი ტომეულის თანახმად არის შესაძლებელი XIX-XX საუკუნეთა დიდი მონაკვეთის აღდგენა. ამასთანავე, ბუნებრივია, ბევრს კითხულობდით და ხატავდით. ყოველწუთიერად აკვირდებოდით და სწავლობდით ცხოვრებასა და ადამიანებს. ნუთუ დაღლას არ გრძნობთ?

უ. ჩერჩილი: — **კაცია თუ ქალი, მოწიფულ ასაკში გულწრფელად მაძიებლები, ბევრად უკეთესნი გახდებიან იმ მოწაფეთაგან, გულგრილად რომ არიან განწყობილნი ჩვენი ხმაურიანი და ჭორ-ჭურის, გაოცებისა და ღვარძლიანობის საუკუნეში.**

ადამიანის განათლება გზამკვლევ ძაფად უნდა გასდევდეს იმას, თუ რას კითხულობს ის მთელი თავისი ცხოვრების სიგრძეზე და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც სარგებელი რამ ნახა უნივერსიტეტში სწავლით, კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიო და თავისი ქვეყნის დიდებული წიგნების კითხვა. იმათ იციან, რა უნდა წაიკითხონ და როგორ განმარტონ წაკითხული.

შესვენებებისას არცრა ცუდი არ არის, თუ ამ შესვენების დროს საჭირო მიმართულებით გამოვიყენებთ. გაუკეთესება ცვალებადობას ნიშნავს, ხოლო იმისთვის, რათა სრულყოფილებას მივაღწიოთ, საჭიროა ხშირი ცვალებადობა.

მაგონდება ერთი პროფესორი, სიკვდილის წინ ერთგულმა მოწაფეებმა სთხოვეს, უკანასკნელი რჩევადარიგება რამ მოგვეციო: მან უთხრა **„ციტატები შეამოწმეთ ხოლმეო!“**

მე ყოველთვის მზად ვარ სწავლისთვის, მაგრამ ყოველთვის არ მომწონს, როცა მასწავლიან.

მუდამ იმ აზრისა ვიქნები, რომ მომავალში კოლეჯებში სწავლების ვადა უფრო უნდა გახანგრძლივდეს და არა შემცირდეს, ახალგაზრდა ოფიცრებმა კი საგანგებო ტექნიკური ცოდნა უნდა გაიღრმავონ.

შეუძლებელია ისტორიის გაგება, თუ მუდმივად არ მივმართავთ იმ ხანგრძლივ დროის მონაკვეთებს, რომელთაც ნიადაგ ვეხებით ჩვენი ხანმოკლე წუთისოფლისგან მიღებული გამოცდილებით, ხუთი წელიწადი ბევრია. ოცი წელიწადი ჰორიზონტია ადამიანთა უმრავლესობისთვის. ორმოცდაათი წელიწადი კარგა დაძველებული დროა.

ვისწავლოთ ისტორია და კიდევ ერთხელ ვისწავლოთ ისტორია, რომელიც სახელმწიფო მართვის სუყოველ საიდუმლოს შეიცავს. უსარგებლოა იმის კეთება, რაც გიყვარს, უნდა გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ.

ჩემი სუყოველი ცოდნა, რის ცოდნაც არ უნდა იყვეს, უპირატესად წიგნებიდან და იმ საბუთებიდან კი არა მაქვს შეძენილი, უცხოეთის საქმეებს რომ ეხება, არამედ ხანგრძლივი დროის სიგრძეზე სწორედ ამ საქმეთაგან შეძენილი პირადი გამოცდილებით. მომავლის იმპერიები გონების იმპერიები იქნებიან.

არცრა ადამიანში არ აღვიძებს უფრო დიდ მოწიწებას, ვიდრე ბიბლიოთეკა.

ე. ჰემინგუეი: — როგორც დიდად გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორ უყურებთ პოლიტიკას?

უ. ჩერჩილი: — პოლიტიკა ისევე გვიტაცებს, როგორც ომი... პოლიტიკური ნიჭი იმის უნარია, რომ იწინასწარმეტყველო, რა შეიძლება რომ მოხდეს ხვალ, მომავალ კვირას, ერთ თვეში, ერთ წელიწადში, ხოლო მერე უნდა განმარტო, რატომ არ ახდა შენი წინასწარ განჭვრეტილი ამბავი.

სიძულვილი პოლიტიკაში იმავ როლს ასრულებს, რასაც მჟავა ქიმიაში.

თუ პოლიტიკაში დაეჭვებული ხარ, რა უნდა ქნა, არაფერი არ ქნა, თუ დაეჭვებული ხარ, რაც უნდა თქვა, მაშინ ის თქვი, რასაც ნამდვილად ფიქრობ.

კრიტიკა პროლიტიკურ ორგანოში ადამიანის სხეულის რომელიმე ორგანოს ტკივილის მსგავსია. ცხადია, უსიამოვნო რამ არის, მაგრამ რა დაემართებოდა ორგანოს უიმისოდ?

როცა პოლიტიკოსები ერთმანეთს ეაყალმაყალებიან, დროდადრო კარგი რამეა, მაგრამ ეს ცუდი პოლიტიკური ზნე-ჩვეულებაა.

საშუალო დონის პოლიტიკოსს ძალიანაც არ აწუხებს თანამიმდევრობა. ის იმ საქონელს აწარმოებს, რომელთა საშუალებით აცდუნებს ჯარ-ჯამაათს, ოღონდ როგორც კი ამ საქონლის მიმართ გულისყური უდუნდება, ის წყნარად ახლა მორიგი სიახლით ალამაზებს ვიტრინას.

სუყოველ ქვეყანაში გამაჯრვებულთა ერთი და იგივე წამოძახილი ისმოდა: ჩვენმა ჯარისკაცებმა მოიგეს ომიო; ახლა თვალყური იმას უნდა ვადევნოთ, რომ ჩვენმა პოლიტიკოსებმა არ წააგონ ზავის ხელშეკრულების დადების დროს.

მე ვიანგარიშე, რომ ამ ურთულეს ჟამს, როცა ესოდენ ბევრი ბრძოლა ხდება და ესოდენ ბევრი უცილობელი და რთული მანევრი ხორციელდება, სუყოველი მნიშვნელოვანი ამბის ჟამს ჩვენი პოლიტიკოსები და ხელმძღვანელობა უნდა აღმოჩნდნენ უმაღლეს დონეზე და რომ ღირსება ჩვენი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უნდა იყვეს (ამ სიტყვებით ჩერჩილმა რადიომსმენელთ მიმართა 1941 წლის 27 აპრილს, ბრიტანეთისთვის გაჩაღებული ბრძოლის დროს).

მე პირადად მნიშვნელოვნად არ მიმაჩნია, რაოდენი შეცდომა მოსდის პოლიტიკოსს, სანამ იმას ეს შეცდომები მოსდის. ეს იგივეა, რომ ჩვილი მგლებს მიუგდო: სანამ შენ არ იცი, კიდევ რა ქნა, მგლების ხროვა შენს მარხილს ეწევა.

პოლიტიკა, ჩემო ბატონო, ჩემგან არ გესწავლება, დილაადრიან გაღვიძებასა ჰგავს, როცა არ იცი, ვისი თავი აღმოჩნდება ბალიშზე შენ გვერდით.

რაც შემეხება მე, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ პოლიტიკაში იმ მტრობის მიხედვით უნდა ვმსჯელობდეთ, რომელ მტრობასაც ჩვენი ოპონენტები ავლენენ. მე ყოველთვის ვცდილობდი, არა ოდენ დავმტკბარიყავი იმათი მსჯელობით, არამედ სავსებით დამემსახურებინა ის მსჯელობა.

პარტიათა ცვალებადობა ჩვეულებრივ მუდმივობის ბევრად უფრო საყურადღებო დარღვევად მიიჩნევა, ვიდრე შეხედულებათა ცვალებადობა.

თანამედროვე სამყაროს მართავენ ქანცგაწყვეტილი პოლიტიკოსები, რომელთა მიზნები მთლიანად მიმართულია რამე თანამდებობის ხელში ჩაგდებისკენ ანდა ამ თანამდებობაზე სხვა ადამიანისთვის გზის გადაკეტვისკენ. ამიტომ ადგილი აღარ რჩება მნიშვნელოვან საკითხთა არსებითად განსახილველად.

სასხვილწლო-სასშობლო სჩოქჩად კაზეთისკან – ქსრთკვლ მკითხვლთ

დემოკრატია ის არის, როცა ფინიები სპილოს ირჩევენ, რათა მერე უფეფონ...
ხალხში გაგონილი

სახლს აგებენ აგურებით, ხსნარით და კეთილი ნებით და არა პოლიტიკით, ცრურწმენებითა და ღვარძლით.

უკეთუ სიბრძნის ისევე ადვილად სწრაფად გავრცელება იქნებოდა შესაძლებელი, როგორც სისულელე ვრცელდება, ეს დიდი პოლიტიკური რეფორმა გახდებოდა.

მე არ მახსოვს არც ერთი საყოველთაო არჩევნები, რომელთაც წინასაარჩევნო დაპირებათა გულსატკენ და უნაყოფო დავამდე არ მივეყვანეთ.

ე. ჰემინგუეი: — სერ უინსტონ, როგორ იხსენებთ თქვენს ახალგაზრდობას, თქვენი ცხოვრების საძირკველს?



უ. ჩერჩილი: — ახალგაზრდობაში მე თვითონ ვინუგეშებდი თავს. ბლენჰეიმში ჩემი ცხოვრების ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ორი რამ გადავწყვიტე: გავჩენილიყავი ამქვეყნად და ცოლი მომეყვანა. ორივე გადაწყვეტილება სწორი გამოდგა. ბრენჰეიმი, მოგეხსენება, ძვირფასო ერნესტ, ჰერცოგ მალბოროთა საგვარეულო სასახლეა, ოქსფორდის ახლოისად განლაგებული, ძველი ვუდსტოკის გვერდით. თავისი სახელწოდება სასახლემ ჯონ ჩერჩილის, მალბოროს პირველი ჰერცოგის, 1704 წელს ფრანგებზე გამარჯვების აღსანიშნავად მიიღო. ბელენჰეიმში უინსტონ ჩერჩილი, ანუ თქვენი მონა-მორჩილი, ამ ქვეყანას მოევლინა 1874 წლის 30 ნოემბერს. აქვე ის ეარშიყებოდა კლემინტინა ხოზიეს, რომელიც ცოლად მოიყვანა 1908 წლის სექტემბერში.

სკოლაში ჩემი თორმეტი წლის მანძილზე ვერავინ ვერ შეძლო ჩემთვის ლათინური ოთხპწკარედის დაწერინება ანდა ბერძნულად რისამე სწავლება, ანბანის გარდა.

ამქვეყნად ბავშვების მოვლენა ესეგვარი რამ წესით ნამდვილად ფენომენალური საქმეა. არ ვიცი, რარიგ მოიფიქრა ეს ღმერთმა.

ძალიან მოხარული ვარ, რომ ადამიანების უმრავლესობა ნიჭიერი იბადება და თანაც, კიდევ ისეთი რისამე მიმართ მიდრეკილება აქვს, როგორიც, მაგალითად, ჭადრაკია. ეს ნიჭიერი მოჭადრაკენი ერთდროულად 16 დაფაზე თამაშობენ და ნაადრევად იხოცებიან ბნედისგან. გეგმაზომიერი გამოსავალია.

ერთი სიტყვით, ვიმედოვნებ, მათემატიკოსნი გვარიანად არიან უზრუნველყოფილნი და ლუკმა-პურს ვერ წაართმევ.

ჯერ ისევ სულ პატარა ბიჭი ვიყავი, ნინველი, რომ დედაჩემს ვუთხარი — ან **ეკისარი ანდა არაფერი-მეთქი!** წლების მერე მივხვდი, რომ მამაჩემის გამოცდილებამ ჩემში სამხედრო მუღამი შეიცნო და როგორც მოგვიანებით მითხრეს, თურმე ასე იმიტომ გადაუწყვეტია, რაკი დაკვირვების შემდეგ ჩემში ადვოკატობის ნიშანწყალი ვერ უპოვია. ვინც ახალგაზრდობაში რადიკალი არ ყოფილა, იმას გული არა აქვს. სახლიდან ჩემი წასვლის გამო იმდენს მირჩევდნენ და მეჩიჩინებოდნენ, რამდენსაც ამქვეყნად ღვთის წყალობით და მამაჩემის ძალისხმევით მოვლინებულს. ჩემს თავს ერთსა და იმავეს ვუმეორებდი, იყავი იმედიანად, ოღონდ არ უარყო, რაც შენ გარშემო ამბები ხდება.

მე ორი ხელით საჯარო სკოლების მომხრე ვარ, მაგრამ არ ვისურვებდი იქ ისევ მოხვედრას, უკეთუ ცხელი ყავადანის ხელში აღება გინდა, ეცადე, რომ სახელური არ მოსტეხო.

განათლება ნამდვილად თავშესაქცევი მივიღე. ჯერ ერთი, ამ ცოდნას ცარიელი, ხარბი გონებით და მაგარი ლაყუჩებით მივუახლოვდი, ყოველსავე ეგრევე ვყლაპავდი. მეორეც, გვერდით არავინ არა მყავდა ისეთი, ვინც მიკარნახებდა: **„წაიკითხე ვისიმე პოლემიკური შრომაო; ორი მოსაზრება პრობლემის არსის გარკვევაში დაგეხმარებაო“,** ანდა **„ამ თემაზე არის ერთი ბევრად უკეთესი წიგნიო“** და ასე შემდეგ...

აი, აქ პირველად შემშურდა უნივერსიტეტის ძუძუთა ბიჭებისა, რომელთაც ჩინებული მასწავლებლები, პროფესორები ჰყავდათ, რომელნიც ყოვლის უფრო სხვადასხვა დარგში ცოდნას აგროვებდნენ და სწყუროდათ, რომ შეძენილი ცოდნა მანამ გაეყოთ ახალგაზრდობისთვის, სანამ წყდიადს შეუერთდებოდნენ. ახლა კი მეცოდებიან ის აბუეტი ბიჭები, როცა ვხედავ, რარიგ ქარაფშუტულად ფანტავენ ძვირფას, სწრაფწარმავალ არაერთ შესაძლებლობას.

რაც უფრო მეტს ვმსახურებ, მით უფრო მეტად მეთანიერება მსახურება, ოღონდ მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ჩემი საქმე არ არის, ხეროუს სკოლაში ესოდენ დიდხანს ჩარჩენილმა, ჩემზე ბევრად ჭკვიან ბიჭებზე დიდი უპირატესობა მოვიპოვე, სადაც ჩემი აზროვნება ანდა გულისყური არ ყოფილა ოდნავ მაინც შერხეული, ან გუნებაზე არ ვიყავი, ანდა სწავლაზე ვიყავი მწყრალად.

მე მხოლოდ იმის აღნიშვნა ძალმიძს, რომ გამონაკლისი ვიყავი, რაც უთუოდ ჩემს ნაკლოვანებას უკავშირდება. მე უფრო მეტი კმაყოფილებით კალატოზს დავუდგებოდი შეგირდად, ანდა ხელის ბიჭი ვიქნებოდი, მორბედი, ანდა სულაც მამაჩემს დავეხმარებოდი საბაყლო ვიტრინის დამშვენებაში. ეს იქნებოდა ბევრად ნამდვილი, ბევრად ბუნებრივი, ეს ბევრად ბევრს შემასწავლიდა, ამას ბევრად უკეთესად ვიზამდი. ამას გარდა, ბევრად უფრო ახლოს გავიცნობდი მამაჩემს, რაც ბევრად უფრო გამახარებდა. არავითარ შემთხვევაში ფული არ მისცეთ ბიჭს, თქვენი შესაძლებლობისდა მიხედვით აჩუქეთ ცხენები.

მე უსაზღვროდ მიყვარდა მამაჩემი და ვამაყობდი კიდეც მამით, ხოლო მერე, უდროოდ რომ გარდაიცვალა... მხურვალე ხსოვნა წამიერადაც არ გამნელებია. სულ ზეპირად ვიცოდი იმის მიერ წარმოთქმული სიტყვათა გრძე-

პიროვნებები, რომლებმაც შეცვალეს სამყარო

ლი ნაწყვეტები. ჩემი პოლიტიკური უპირატესობანი სწორედაც მამაჩემის გავლენით ჩამომიყალიბდა.

სიჭაბუკეს ავანტიურა ეჭირვება. პრესას აჟიოტაჟი, ხმაური სჭირდება. მე ერთიც და მეორეც გამოვცადე. ცხოვრების თითქმის მთავარი გამოცანა ის არის, რაც ადამიანს მოქმედებას აიძულებს. შენი გონება ადამიანმა საბრძოლო მასალის საწყობად კი არ უნდა აქციო, არამედ შაშხანა უნდა გახადო, რათა სხვათა საბრძოლო მასალა გაანადგურო.

ახალგაზრდებმა, ჩემი აზრით, კითხვაში სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, ისევე, როგორც მიმხცოვანებულნი ფრთხილად უნდა იყვნენ ჭამაში. ხნიერთ მეტისმეტად ბევრის ღმურძვლა არ მართებთ. იმათ კარგად უნდა დაღეჭონ საჭმელი.

უსარგებლო რამ არის იმის თქმა, რომ ჩვენ ყველაფერს ვაღონისძიებთ, რის ქმნაც ძალგვიძს. მთავარია, აუცილებლის ქმნაში წარმატება.

გაბედულება ადამიანურ, კაცობრივ თვისებათა უპირველესი რამ არის,რამეთუ ყოველსავე დანარჩენს ის ხდის შესაძლებელს.

შენ რა, ზნეობრივად და ფიზიკურად სიძლიერე გსურს? მაშინ ცდუნებათა წინააღმდეგობა უნდა შეგეძლოს...

უდიდესი შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ მომჭირნეობას, ანუ ყაირათს, მხოლოდ შიში წარმოშობს. ის წარმოიქანება როგორც შიშისგან, ასევე იმედისგანაც. სადაც იმედი არ არის, იქ, ცხადია, არც მომჭირნეობა იქნება.

იმაზე უფრო უკეთესი ინვესტიცია არა არის რა, ვიდრე ჩვილთათვის დედის რძეა...

ე. ჰემინგუეი: სერ უინსტონ, ცოტა არ იყოს, გრძელი საუბარი კი გამოგვდის, მაგრამ არ შემიძლია დიქტატურის თაობაზეც არ დავილაპარაკოთ. მეოცე საუკუნეში ორივენი არაერთი დიქტატურისა და დიქტატორის მოწმენი გავხდით. ერთ-ერთი დიქტატორის მხარდამხარ, შტატებთან ერთად როგორც მოკავშირე, მეორე დიქტატურისა და დიქტატორის წინააღმდეგ იბრძოდით, რას იტყოდით, ხსენებული დიქტატურისა და დიქტატორის თაობაზე? თქვენი აზრი ძვირფასია და ძვირფასად დარჩება მკითხველისთვის.

უ. ჩერჩილი: — დიქტატორები ვეფხვებზე ამხედრებული ხალხია. ბოროტი ადამიანები ყოველთვის გონიერნი არ არიან, როგორც რომ დიქტატორნი არ არიან ყოველთვის მართალნი.

მე რწმენით მონარქისტი ვარ და პრინციპულად კონსტიტუციური მონარქიის მომხრე ვარ, რამეთუ მონარქია დიქტატურის წინაღობეა.

ვეფხვებზე ამხედრებულ დიქტატორთ ჩამოქვეითება აშინებთ. ვეფხვნი ამასობაში შიმშილს განიცდიან. პარტიული დიქტატურა ფრიად საშიში რამ არის, ვიდრე რაგინდარა სამხედრო დიქტატურა, რამეთუ ისეთ მმართველთა მოწმენი ვხდებით, რომელნიც ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად ყველაფრისთვის მზად არიან.

მშვიდობისმყოფელი კი ის არის, ვინც ნიანგს იმ იმედით კვებავს, მე სულ ბოლოს შემჭამსო.

დიქტატორი, მთელ თავის სიზვიადესთან ერთად, პარტიული მანქანის სისასტიკეს უჭირავს. დიქტატორს წინსვლა ძალუძს, ოღონდ უკან მობრუნება აღარ შეუძლია. მან თავის მეძებართ, მსხვერპლზე მისეულთ, სისხლის გემოს შეგრძნების ნება უნდა დართოს. სხვაგვარად, ძველ დროთა აქტეონის მსგავსად, ისინი სულ ქუფთა-ქუფთა აქცევენ იმას. გარედან ყოვლადძლიერი ის შიგნიშიგან უსუსტესია.

სუყოველი ტირანია, ანუ სიმძლავრე, რა სახესაც არ უნდა იღებდეს, ითხოვს, რომ თავისუფალმა ადამიანებმა თავიანთი სიცოცხლის განწირვის ფასად, ცდა არ უნდა დააკლონ იმის დამხობას. სისხლის მდინარე დაიღვარა და იღვრება გერმანელ ერსა და ევროპის ყველა სხვა ხალხს შორის. ეს ბრძოლის ველზე დაღვრილი ცხელი სისხლი კი არ არის, როცა ორივე მხარე ერთმანეთს ებრძვის. ეს სიკვდილით დასჯის და ეშაფოტების ცივი სისხლია, წარუხოცველად რომ ალაქავებს თაობებსა და საუკუნეებს.

მშვიდობიანი საპარლამენტო ქვეყნები, პიროვნების თავისუფლებასა და ხალხის გაბარაქიანებას რომ ესწრაფვიან, უაღრესად ძნელ მდგომარეობაში ცვივიან. იწყებენ რა დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელი დიქტატურის ერთადერთი ალტერნატივა ომია.

სწორედ კრიტიკის შიში წარმოშობს ნაცისტურ და ბოლშევიკურ დიქტატურათა უდიდეს საშიშროებას. საკონცენტრაციო ბანაკები, რეზინის ხელკეტები და დამხვრეტი ჯგუფები პირში ბურთსა სჩრიან ყოველგვარ კრიტიკას. ამიტომ სულ ზემოთ მყოფ ადამიანებს ხშირად მხოლოდ ის ამბები კვებავენ, ყელს რომ უკოკლოზონავებთ ცხოვრებამოყირჭებულთ და გაზულუქებულთ.

არცრა აყალმაყალს, ნაკლოვანებებსა და კორუფციას კაციშვილი არ ამხელს, რადგან დამოუკიდებელი ხმა არავის არა აქვს.

დიქტატურაში ერთ-ერთი უხერხულობა ის არის, რომ დიქტატორს ხშირად სხვები უკარნახებენ და რასაც ის უკეთებს იმ სხვებს, ხშირად შეუძლიათ, რომ იმათ იმასვე უქნან საპასუხოდ.

მთავარია, მზე „რკინის ფარდის“ ორსავე მხარეს ანათებდეს, და როგორც იოსებ სტალინის სამშობლოელი, ერთი ძველი პოეტი იტყოდა, უკეთუ ოდესმე მზის შუქი ორსავე მხარეს, ვარდსა და ნეხვს, სწორად მოეფინება, ის ფარდაც გაქრება... რომელ მსოფლიო ორგანიზაციასაც არ ძალუძს, რომ დიდ სახელმწიფოთა დიქტატურას არ ემყარებოდეს, იმ სახელმწიფოთა ვალია ქვეყნის სახურება და არა იმისი მართვა.

ე. ჰემინგუეი: — მეორე მსოფლიო ომში ბრიტანეთი, შტატებთან ერთად, საბჭოთა კავშირთან ერთად იბრძოდა. ეს მაშინ, როცა თქვენთვის, როგორადაც შტატებისთვის, მიუღებელი იყო და არის სოციალისტური სისტემაც და ნაცისტურიც. მაგრამ კაცთმოძულე ჰიტლერისგან განსხვავებით, დიდად აფასებთ დიქტატორ იოსებ სტალინს, რომელმაც რუსეთში სრულიად ახალი, კაცობრიობისთვის მანამდე უცნობი წესწყობილების წარმატებულად შენების მოწმენი გაგვხადა. დღეს რას იტყოდით ამის თაობაზე?

უ. ჩერჩილი: — რუსეთს ბედი ჰქონია (ცხადია, აქ მტერ და უმადურ რუსებს გამოვრიცხავ), რომ მთელი 30 წელიწადი ისეთი ბრძენი კაცი ედგა სათავეში, როგორიც იოსებ სტალინი იყო. მან ჩვენი ხელით, ანუ თავისი მტრების ხელით, მოკავშირეობით, გაანადგურა კაცობრიობის გაუგონარი მტერი. დაბნელებულ რუსეთში სოციალური მზე ამოიყვანა...



როდესაც დამარცხებულ ნაცისტთა მხრიდან უსიტყვო კაპიტულაციაზე დავფიქრდებით ხოლმე, ჩემდა უნებურად მახსენდება ოდესღაც წაკითხული თუ მოსმენილი ჰეგელის წინასწარმეტყველური აზრი იმის თაობაზე, რომ კაცობრიობას ერთხელაც კავკასიური რასის წარმომადგენელი მოევლინება ბოროტების ბრჭყალებიდან ერთ-ერთ მხსნელადო.

თუმცა, ამ იშვიათი ადამიანის მხედართმთავრულ ნიჭსა და უნარზე მარტო ჩვენ, საერთო მტრის წინააღმდეგ მოკავშირენი, არა ვართ მაღალი აზრისანი, უკვე სტალინგრადის შემდეგ თავის გარდაუვალ დამარცხებაში ასე თუ ისე დარწმუნებული სინდისდაღამებული ჰიტლერი ვეღარ მალავდა თავისი დაბნელებული ტვინის რომელიღაც კუნჭულში შეყუჟული ფარული აზრის ფუთფუთს, — უკეთუ მეცოდინებოდა, ამ მძიმე ომის ჟამს რა დონისა და ხარისხის კაცთან მექნებოდა საქმეო, რუსეთისკენ ცალი თვალითაც არ გავიხედავდიო.

რაც შეეხება სოციალიზმს, ის დაცემის ფილოსოფიაა, მრწამსია უმეცრებისა, ღვარძლიანობის სახარებაა.

სუყოველი სოციალური რეფორმა, რომელიც ეროვნული ვალუტის სიმტკიცეს არ ეფუძნება, თაღლითობა და ტყუილია*.

ე. ჰემინგუეი: — შესაძლებელია თუ არა დემოკრატია სოციალიზმისა და, საერთოდ, ნებისმიერი წყობილების დროს?

უ. ჩერჩილი: — დიდ ერებს აღარ ხელმძღვანელობენ ყოვლის უფრო უნარიანი წარმომადგენელნი, ანდა ისინი, ვინც ყველაზე მეტად ერკვევა ამ ერების მიმდინარე საქმეებში, ანდა თუნდაც ემხრობა შინაგანად შეთანხმებულ დოქტრინას.

დემოკრატია მართვის ყოვლის უფრო უარესი ფორმაა, უკეთუ იმ ხერხებს არ გავითვალისწინებთ, რომელთა მომარჯვებითაც დღესაქამომდე მიმართავდა კაცობრიობა.

დემოკრატია იმ პარტიის დახურული კრება არ არის, რომელიც უხვ დაპირებათა წყალობით უფლებამოსილებას ეზიარება განსაზღვრული დროით, რათა ხალხს მერე ისე მოექცეს, როგორც თვითონ მოეპრიანება. ჩემი გაგებით, მუდმივი უხილავი შინაგანი კავშირი უნდა იყვეს მთავრობასა და ხალხს შორის.

ხალხის სათავეში ხელისუფლების დგომა თვითონ ხალხისთვის და ხალხის გულისთვის კვლავინდებურად რჩება დემოკრატიის უმაღლეს განსაზღვრებად. აქ ურიგო არ იქნება აბრამ ლინკოლნის მიერ 1863 წლის 19 ნოემბერს გეტისბერგში (პენსინვანიის შტატი) ჯარისკაცთა სასაფლაოს გახსნისას წარმოთქმული ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი სიტყვები. ლინკოლნის ის სიტყვა სულ ორწუთიანი იყო, მაგრამ ისტორიაში სამუდამოდ დარჩა როგორც ერთ-ერთი უცნობილესი სიტყვა.

დემოკრატია, ჩემო ბატონო, სულაც ის ლაჯაღებული გარყვნილი ქალი არ არის, რომელსაც ქუჩაში ნებისმიერმა ავტომატიანმა შეიძლება რომ ჩანგალი გამოსდოს.

მე თითქმის სუყოველი ქვეყნის ხალხისა მჯერა, სწორედაც ხალხისა და არა იმ ბანდიტების ხროვისა, რომელიღაც მთებიდან ან მიყრუებული სოფლებიდან რომ მოევლინნენ ქვეყანას და რომელთაც მიაჩნიათ, რომ ძალადობის გზით ადვილი საქმეა კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ძველი პარლამენტები, მთავრობები და სახელმწიფოებია. ყოვლის უკეთესი საბუთი დემოკრატიის წინააღმდეგ საშუალო ამომრჩეველთან ხუთწუთიანი საუბარია.

დემოკრატია ნებისმიერ მთავრობაზე მეტად შურისმგებელია!

ომების გარდა, კაცობრიობამ არცრა იცოდა იმ დროიდან, რაც ხელისუფლებაში დემოკრატია მოვიდა.

ვინც ხალხს რევოლუციისკენ უბიძგებს, ისინი გილიოტინისთვის მზად უნდა იყვნენ!

დიდი საქმეებისგან შეძენილი გამოცდილებიდან დავასკვენი, რომ სანამ პირში სული უდგას და სუნთქავს. ადამიანმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს.

ჩემი დევიზია — არასდროს არ უნდა დანებდე გავეშებულ მტერს. **არასოდეს, არასოდეს, არასოდეს!** არც დიდ, არც მცირე, არც უზომოდ ბნელ და არცთუ წვრილმან საქმეში! არცროდის არ დანებდეთ, უკეთუ ეს არ ეწინააღმდეგება ღირსებასა და საღ აზრს. არცროდის არ დაემორჩილოთ უხეშ ძალას, არცროდის არ დაემონოთ თქვენი მეტოქის აშკარად უპირატეს ძლიერებას. არცრა არავისთვის შესათავაზებელი არა მაქვს რა, სისხლის, შრომის, ცრემლებისა და ოფლის თვინიერ.

გამარჯვება, გამარჯვება ყველაფრის ფასად, გამარჯვება სუყოველი შიშის წინააღმდეგ. გამაჯრვება, რაც არ უნდა ხანგრძლივი და ძნელი იყვეს იმისკენ მიმავალი გზა, რამეთუ თუ არა გამარჯვება, გადარჩენა შეუძლებელია და დამარცხებას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — გამარჯვება!

გულის გატეხა დანაშაულია. ბოლოს და ბოლოს უნდა ვისწავლოთ წარუმატებლობიდან მომავალი ძალის საშუალებათა შეძენა.

ცხოვრება წინააღმდეგობებთან ერთად სრბოლაა, ნუ დათმობთ გაბატონებულ სიმაღლეებს!

მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უკეთეს სამყაროში სიცოცხლის რწმენა, რომელ სამყაროშიც შენი ახლობელი ძვირფასი ადამიანები ისევ შეგვხვდებიან, მხოლოდ დროის გამოზომილ სვლას ძალუძს ნუგეშინის ცემა.

არცრა ცხოვრებაში ისე არ გვამხნევებს, როგორც ის ამბავი, რომ გესვრიან და ვერ გკლავენ.

მთავარია, იცხოვრო ხიფათიანად, ყოველივე ისევე აღიქვა, როგორც არის, ნურაფრის ნუ შეგეშინდება და ყველაფერი კარგად იქნება!

არ უნდა ვიგულმავიწყოთ ბაღის გაშენება, სადაც სიცოცხლით დავტკბებით, როს სხვა რამ გასაშენებელი არცრა გვექნება.

დღეს მართლაც ბედნიერი ვარ, რომ ჩემ წინ ზის მთელი მსოფლიოსთვის საყვარელი მწერალი, რომლის შემოქმედებაც პირადად ჩემთვისაც ასევე ძვირფასია. თავი კი ხშირად „მოხუცისა და ზღვის“ მეთევზე ბერიკაცი მგონია, რომელმაც ოკეანე დაამარცხა და ყოვლის უფრო დიდი ნადავლი მოითევზა.

წიგნის დაწერა, ვიცი, თავგადასავალია. ამავე დროს, დიდი კმაყოფილების მომგვრელი რამ არის. თავს აკვარიუმში მოჭყუპალავე ოქროს თევზად გრძნობ, ოღონდ ამ შემთხვევაში შენ თვითონ ქმნი შენს აკვარიუმს. როცა ერთხელაც გადავშენდებით (რაც ბოლოს და ბოლოს უცილობელია), როცა დავკარგავთ ჩვენთვის ღვთისგან მონიჭებულ უპირატესობას, ჩვენი ზნეობაც გაქრება, მაგრამ დარჩება ჩვენი ნათქვამი, ჩვენი დაწერილი წიგნი. ის თავდაპირველად თავშექცევაა, მერე კი ხდება საყვარელი, ცოლი, თავჯალაბი და ბოლოს ტირანი. მე წიგნს ისე ვწერ, როგორც იყო აგებული კანადის წყნარი ოკეანის რკინიგზა...

ადამიანი იგივე სულია!..

ხან ლომის ხახაშიც უნდა შევყოთ თავი, უკეთუ ეს ამბავი ჯერ კიდევ ერთხელ გაგვამარჯვებინებს ცხოვრებაში.

პუბლიკაცია მოამზადეს

თეონა კვარაცხელიამ და

გურამ გოგიაშვილმა,

ატლანტა-თბილისი,

1919 წლის დეკემბერი

***. იოსებ სტალინმა ჯერ კიდევ 1947 წელს სტკიცა დოლარს მტკიცე უარი. იმავე წელს დაეუარა დოლარს შვეიცარიაც.)**

ახლო აღმოსავლეთი - დენთის კასრი...

„საქართველო გმობს ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე ბოლოდროინდელ ძალადობრივ, პროვოკაციულ თავდასხმას. აშშ-ს თავისი მოქალაქეების დაცვის ლეგიტიმური უფლება აქვს. ახლა დიპლომატიის დროა, რათა მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია და დაძაბულობის განმუხტვა“ — ასე გამოეხმაურა დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ამერიკას, ირანსა და ერაყს შორის დაძაბულობის უკიდურეს ზრდას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე გააფრთხილა ერაყსა და ირანში მყოფი საქართველოს მოქალაქეები უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებთან დაკავშირებით.

ოფიციალური თბილისისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის და სოხუმის რეჟიმებმა, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკა „სახელმწიფო ტერორიზმს“ შეადარეს. „აშშ-ს ძალისმიერი აქცია არის საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევა“, — ნათქვამია ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის განცხადებაში, სადაც ასევე ხაზგასმულია, რომ „ტერორიზმი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია“.

„სახელმწიფო ტერორიზმის უპრეცედენტო ნიმუში“ უწოდა პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილებას სოხუმის მარიონეტულმა რეჟიმმაც. მანამდე აშშ „საერთაშორისო სამართლის დარღვევასა და სახელმწიფო ტერორიზმში“, ბუნებრივია, რუსეთმაც დაადანაშაულა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვასილ კაჭარავა ამბობს, რომ არცერთი მხარე ამ კონფლიქტში საქართველოს ჩართვას არ ითხოვს, მაგრამ სიფრთხილე საჭიროა.

„ერთი მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ აშშ საქართველოს მთავარი და სტრატეგიული მოკავშირეა, ეს არ უნდა დავივიწყოთ და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ირანი ჩვენი მეზობელია, არც ერთი მხარე ამ კონფლიქტში ჩვენს ჩართვას არ ითხოვს. მე პირადად ამერიკასა და ირანს შორის ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას არ ველი, დიდი ალბათობით, გაგრძელდება წერტილოვანი დარტყმები. ირანი შურისძიებით იმუქრება და თუ თეირანის მხრიდან ასეთი ნაბიჯები გადაიდგა, ამაზე ამერიკას პასუხი ბუნებრივია ექნება. ამ მხრივ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ“, — მიაჩნია ვასილ კაჭარავას.

ახლო აღმოსავლეთში ვითარების მორიგი, უკიდურესი ესკალაცია გასული წლის 27 დეკემბერს დაიწყო. მაშინ ერაყის ტერიტორიაზე, ქალაქ კირკუკთან ახლოს, აშშ-ის სამხედრო ბაზას 30-მდე რაკეტა ესროლეს, შედეგად, ბაზაზე, კონტრაქტით მყოფი ერთი ამერიკელი დაიღუპა, რამდენიმე ჯარისკაცი კი დაიჭრა.

შეერთებულმა შტატებმა თავდასხმაში ირანის მიერ მხარდაჭერილი, „ქათა'იბ ჰეზბოლას“ ტერორისტული დაჯგუფება დაადანაშაულა და ერაყის ანბარის პროვინციაში, 29 დეკემბერს ამ დაჯგუფების ხუთი სამხედრო ბაზა დაბომბა და სულ მცირე 25 ტერორისტი მოკლა. 31 დეკემბერს პროირანულმა ძალებმა ერაყის დედაქალაქ ბაღდადში აშშ-ის საელჩოზე მიიტანეს იერიში. მათ საელჩოს დაცვის ერთ-ერთი კოშკი გადაწვეს, მცირე ხნით კომპლექსის გარე გალავანში შეღწევა შეძლეს, სადაც დატოვეს წარწერა „სოლეიმანი ჩვენი მეთაურია“. ამერიკელმა სამხედროებმა აგრესიული ბრბოს დაშლა ცრემლსადენი გაზით შეძლეს.

საპასუხოდ, 2020 წლის 3 იანვარს, პრეზიდენტ ტრამპის ბრძანებით, ბაღდადის აეროპორტის სიახლოვეს სარაკეტო დარტყმით ათამდე პირი მოკლეს, ვინც აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა დაგეგმა, მათ შორის, ირანის ყველაზე გავლენიანი გენერალი, „ელიტური“ „ყუდსის ძალების“ სარდალი ყასემ სოლეიმანი.

სოლეიმანი ახლო აღმოსავლეთში ირანის „ჩრდილოვანი ომის“ მთავარი სტრატეგი და არქიტექტორი იყო, რომელიც უზენაესი ლიდერის აიათოლა ალ-'უზმა ჰაჯი სეიდი ალი ჰუსაინი ხამენეის უშუალო მხარდაჭერით მოქმედებდა.

ბაღდადში დღეს ანტიამერიკული დემონსტრაციების ფონზე, პროირანული დაჯგუფების ლიდერის ალი მაჰდი ალ-მუჰანდისთან ერთად კიდევ რვა მოკლული დაკრძალეს. გენერალ ყასემ სოლეიმანის ცხედარს კი 7 იანვარს მშობლიურ ირანში მიაბარებენ მიწას.

მეორე დღეა, თეირანი აშშ-ს „სასტიკი შურისძიებით“ ემუქრება. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გამო, ამ დრომდე არ მუშაობს ერაყში აშშ-ის საელჩო, თუმცა აშშ-ის დიპლომატიური მისიები რეგიონში მუშაობას აგრძელებენ, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოში. აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში დამატებითი სამხედრო ძალების გადასროლა დაიწყო.

ბოლო ინფორმაციით, 4 იანვარს, საღამოს, ერაყის დედაქალაქში აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს, ე.წ „მწვანე ზონაში“, რომელსაც ამერიკელები იცავენ, ორი რაკეტა ჩამოვარდა. კიდევ ერთი რაკეტა ესროლეს ბალადის ავიაბაზას, ბაღდადიდან 80 კმ-ის მოშორებით, სადაც ასევე ამერიკელი სამხედროები არიან განლაგებული. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია მოწმდება.

AMERIKISKHMA

აფხაზები ევროპაში კულტურულ კავშირებს აღრმავებენ

„აფხაზ-აბაზინელთა მსოფლიო კონგრესის“ წარმომადგენლებმა — ვიაჩესლავ ჩირიკბამ, ინარ გიცბამ და ამინა ლაზბამ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიზიტები განახორციელეს, რათა ორგანიზაციის 4 რეგიონული განყოფილება დაეფუძნებინათ. ევროპული ვოიაჟის შედეგები მათ სოხუმში დეკემბრის ბოლოს გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამეს.

როგორც აღინიშნა, ევროპის ქვეყნებში ვიზიტები კონგრესის თავმჯდომარის მუსა ეკზეკოვის დავალებით განხორციელდა და დიასპორასთან პირველი შეხვედრა ლონდონში გაიმართა.

„ლონდონში ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა. ჩვენ იქ დაახლოებით 100-კაციანი დიასპორა გვყავს და ამ ადამიანებს დიდი ხანია, ვიცნობ. გადაწყდა, შეიქმნას ჩვენი კონგრესის ადგილობრივი განყოფილება და მას იეშიმ ატრიშეხა ჩაუდგეს სათავეში: იგი დიასპორის ძალიან აქტიური წევრია, ცნობილი ფიგურაა, ომის დროს აქ იყო და აქტიურად მუშაობდა.

დიასპორის წევრთა საერთო სურვილია, სამშობლოსთან კავშირები ყველა დონეზე განმტკიცდეს — კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის მიმართულებით. ასევე გაძლიერდეს კავშირები დიასპორალურ თემებს შორის ევროპაში, თურქეთში და თავად აფხაზეთთან. იმედი მაქვს, ამაში ლონდონის ოფისიც კარგ სამსახურს გაგვიწევს“, — განაცხადა **ვიაჩესლავ ჩირიკბამ.**

ჰოლანდიაში, როტერდამში გამართული შეხვედრის შესახებ ჟურნალისტებს კონგრესის აღმასრულებელმა მდივანმა ინალ გიცბამ უამბო: **„(...) ერთ-ერთ მთავარ მიზანს კონგრესის ჰოლანდიის ოფისის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. მასში გაწევრიანების სურვილი ბევრმა გამოთქვა. ჩვენ შევქმენით ადგილობრივი განყოფილება და მას ნიჭიერი ახალგაზრდა ერგიუნ აშუბა ჩაუდგა სათავეში, რომელსაც ეთნოკულტურული ღირებულებების შენარჩუნება-განმტკიცების დიდი სურვილი გააჩნია“.**

შემდეგი შეხვედრა ბრიუსელში გაიმართა. კონგრესის ოფისი აქაც დაფუძნდა და მას დაურ ალამია — ოკუპირებულ აფხაზეთში ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, პოეტისა და მწერლის გენადი ალამიას ვაჟი ჩაუდგა სათავეში.

მეოთხე შეხვედრა გერმანულ მოსბურგში ჩატარდა. ამ ქალაქში აფხაზ-აბზიანელთა კულტურული ცენტრი „დერნეკი“ მოქმედებს, რომელიც 100-მდე წევრს ითვლის. „დერნეკი“ 27 წლის წინ, ომის დასრულების შემდეგ გაიხსნა და მას სეზაი ჩკოკი უდგას სათავეში. შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონგრესის მეოთხე რეგიონული ოფისის გახსნის შესახებ და მის თავმჯდომარედ ტაიფულ ფაჩალია აირჩიეს, რომელიც 40 წელზე მეტია, გერმანიაში ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის მასშტაბით ყველაზე დიდი დიასპორა გერმანიაშია — იგი 10 000 ადამიანზე მეტს ითვლის, მთლიანობაში კი ევროპაში — დაახლოებით 15 000 ადამიანს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ოკუპირებული აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში კონგრესის ადგილობრივი განყოფილებების 26 საბჭო ამოქმედდა, თავად განყოფილებების კი ამ პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის გარდა, თურქეთში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიასა და რუსეთში გაიხსნა. ამ განყოფილებების გახსნის მიზანს, როგორც კონგრესში განმარტავენ, „ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად დიასპორებს შორის და დიასპორებსა და სამშობლოს შორის კავშირების განმტკიცება, ამ მიზნით საგანმანათლებლო, კულტურული, ასევე სხვა მიმართულებით პროგრამების შემუშავება-რეალიზება წარმოადგენს.

SOS! - ირანმა ბირთვული შეთანხმება დატოვა

ირანმა 2015 წლის ბირთვული შეთანხმება სრულად დატოვა. თეირანი შეთანხმებით მიერ დაწესებულ შეზღუდვებს აღარ დაემორჩილება. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბრძანებით ბაღდადში გენერალი ყასემ სულეიმანი მოკლეს.

მანამდე ირანი შეთანხმების პირობებზე უარს ეტაპობრივად ამბობდა, მას შემდეგ, რაც 2018 წლის მაისში ვაშინგტონმა შეთანხმება ცალმხრივად დატოვა. შეთანხმების დანარჩენი მონაწილეები მის შენარჩუნებაზე მუშაობდნენ.

ირანს ძალადობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებენ

გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ირანს ძალადობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებენ, — ამის შესახებ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი. ამასთან, სამი ქვეყნის ლიდერები მიმართავენ თეირანს, დაუბრუნდეს ე.წ. ბირთვულ შეთანხმებას.

სახელმწიფოს მეთაურები მიიჩნევენ, რომ ძალადობა უნდა შეწყდეს. ამავე დროს, ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა გააგრძელონ. ამიტომ, ლიდერები მოუწოდებენ ერაყს, ქვეყნიდან უცხოელი ჯარისკაცების გაყვანის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას გადახედოს. გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი აცხადებენ, რომ შეშფოთებულები იყვნენ ახლო აღმოსავლეთში ირანის ნეგატიური როლის გამო.

ირანის მიმართ პასუხი იქნება სწრაფი და არაპროპორციული

თუ ირანი ამერიკის რომელიმე მოქალაქეზე ან ობიექტზე იერიშს მიიტანს, შეერთებული შტატების პასუხი იქნება სწრაფი და არაპროპორციული, — ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებაა, რომელიც მან მიკრობლოგ „ტვიტერზე“ გააკეთა.

ᲗᲥᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ...



თუ რამეს ვმღერი...

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ხვართქლა შემოვაშორე ვენახს,
გრამაფონისყვავილება და ისეთი ლილაფერი -
თეთრეული გაივლება.
ვენახიდან რომ ღვინო დაყენდება და დაილევა,
მაშინ მაინც ვიმღერებ:

- „ყვავილების ქვეყანა,
ჩოქვით შემოვიარე,
რო დამპირდი მოვალო!“...

მოსვლას არ დამპირებიხარ,
მე თავად დავირწმუნე თავი და გელოდი;
რო უნდა მეტირა, - ვმღეროდი და
უდარდელი ვეგონე ხალხს.

დარდი ისეთი რამეა, -
სულ უკითხავად ფრთას შლის,
შუადღე შუაღამეა
დარდის კაცების თვალში.

თვალი? – გიჟის და ბრძენის,
მზერა? – გიჟის და ბრძენის,
შვენის და ამდიდრებს სამყაროს...
და მაინც – გვეკრძალება შენი!
და მაინც – გვეშინია შენი!
და მაინც – მონები ვართ შენი,
მდორევ და მასიურო ყაყანო!

ყაყანით დაღლილს ჩამეძინა,
იმ დღეს, რაც მეწყინა და ვერავის გაგრძნობინეთ
სიზმარში იჩინა თავი –
იმდენი ვიტირე და ვიმღერე,
თქვენამდეც მოაღწევდა ხმა.

გამთენიისას, შეშილიფეგბული
ტან-ტომაგით რომ
კარში გამომაგდო და გამლიგვა
მსოფლიო ორკესტრების შურმა და გულისხეთქვამ -
ჩიტების გალობა-ჟრიამულმა,
ერთი კაცი გამახსენდა:

– ტყის ფრინველების ვალი მაწვალებსო,
თუ რამეს ვმღერი, სულ იმათ მასწავლესო...

ჰანგების მეფე და ჰანგების მონა შვილი
ჰამლეტი გამომიტყდა, ერთხელ გონაშვილი:

„შეითვალა უკვე ხილი,
წიფობელის მოძახილით“;

„მთლად თვლემასავით თბილი
მთენთავს კარანის გვრინი“;

„და კოდალის აბერტონი
ხმა მგონია კამერტონის“;

„ვენახ-ვენახ ჩიტი ღაჟოს,
ხმა მგონია პიჩიკატო“;
„სამეგობრო წრეში ლხინის
მშვენებაა წეროს კრინი“;

„ნიავს ჩამოტყდება და მჩატე აქცენტით,
ჩირგვიდან გამოდგება ჭინჭრაქა – ფალცეტი“.

„შაშვი – ბარიტონი, ტენორი - ბულბული,
რეჩიტატივი სკვინჩასი;
აქა-იქ მესკიის მინორით ჟღურტული,
ქორო ბეღურათა - ანსამბლი ძვირფასი“.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ:
– როცა გონაშვილი მღერის,
ჩემი სევდიანი ცა მწყალობს.
ამოჩუხჩუხდება ყელით
ჰანგი ცხრა მუხის და ცხრა წყაროს.

ქალი გამოდგება ბანზე
(რაღა სათქმელია, ვღელავდე)
და მეც მორჩილ სალამს ვაძლევ,
ვალში ჩავარდნილი ყელამდე.

როცა სალამური კვნესის –
თვალი კელაპტრიშვილს უმზერს;
თქორად გადაიარს ლექსი
ხვატით გამოგვალულ გულზე.

მერე მეც მივდენი ფარას,
ვებრძვი ღამეებს და მოწყენას,
მუხლში მემატება ძალა,
ლერწმის წკრიალი რომ მომწვდება.

ოცნებით შევუყვები ალაზანს, –
მერცხალი მეშველება ფრთებით;
ან ვდგავარ მოსამკელ ყანასთან
და ტანში ვიმტვრევი და ვთბები.

„გლესავო!“ – მომესმება ამ დროს
და სისხლს ამიჩქროლებს ონავარს;
ვისაც თქვენ უმღერით და დარდობთ
მეც იმის ერთგული და მონა ვარ.

ᲖᲐᲐᲚ ᲔᲒᲐᲜᲝᲘᲫᲔ

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ᲓᲠᲐᲛᲘᲡ **ჟანრის საუკეთესო ფილმად სემ მენდესის სამხედრო-ისტორული კინოსურათი „1917“ აღიარეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ორი ბრიტანელი ჯარისკაცის ისტორიას ეხება. ამავე ფილმმა „ოქროს გლობუსი“ საუკეთესო რეჟისორის კატეგორიაშიც მიიღო.**

საუკეთესო მინისერიალი „ეიჩ-ბი-ოუს“ (რIწ) მიერ გადაღებული **„ჩერნობილი“,** ხოლო უცხოურენოვანი ფილმი სამხრეთკორეელ რეჟისორ პონ ჯუნ-ხოს **„პარაზიტები“** გახდა.

წლის საუკეთესო მსახიობის კატეგორიაში **ხოაკინ ფენიქსმა** გაიმარჯვა, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ტოდ ფილიპსის ფილმში „ჯოკერი“.

საუკეთესო ქალ მსახიობად კი **რენე ზელვეგერი** აღიარეს, რომელმაც ჯუდი გარლენდის შესახებ გადაღებულ ბიოგრაფიულ ფილმში ითამაშა.

კვენტინ ტარანტინოს „ერთხელ ჰოლივუდში“ ხუთ ნომინაციაში იყო წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ სამი ჯილდო მიიღო – ტარანტინოს ნამუშევარი მიუზიკლისა და კომედიის ჟანრში გადაღებულ წლის საუკეთესო ფილმად დასახელდა და საუკეთესო სცენარის კატეგორიაშიც გაიმარჯვა. **ბრედ პიტმა** ამავე კინოსურათში შესრულებული როლისთვის „ოქროს გლობუსი“ მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის მიიღო.

კომედიასა და მიუზიკლში მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის დააჯილდოვეს **ტერონ ეგენტონი,** რომელმაც ელტონ ჯონი განასახიერა ფილმში „როკეტმენი“.



მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელ ქალად ლორა დერნი აღიარეს, რომელმაც ნოა ბაუმბახის ფილმში „ქორწინების ისტორია“ ითამაშა.

კომედიის ან მიუზიკლის ჟანრში გადაღებულ ფილმში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის **აკვაფინა** დაჯილდოვეს. ის პირველი ამერიკელი აზიელია, რომელმაც აღნიშნული ჯილდო დაიმსახურა.

წლის საუკეთესო დრამატულ სერიალად ჟიურიმ „ეიჩ-ბი-ოუს“ „მემკვიდრეები“ დაასახელა. ამავე სერიალში მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის დააჯილდოვეს **ბრაიან კოქსი.**

დრამის ჟანრში გადაღებულ სერიალში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ოქროს გლობუსი“ **ოლივია კოლმანს** გადასცეს, მან მთავარი როლი შეასრულა სერიალში „გვირგვინი“ . კომედიური ან მიუზიკლის ჟანრის საუკეთესო სერიალი კი „ფლიბეგი“ გახდა. ამ სერიალის სცენარის ავტორი ბრიტანელი **ფიბი უოლერ-ბრიჯია,** რომელიც ამავე სერიალში შესრულებული როლისთვის დააჯილდოვეს.

საუკეთესო კინომუსიკისთვის „ოქროს გლობუსი“ „ჯოკერს“ ერგო, ხოლო საუკეთესო სიმღერად ელტონ ჯონის ბიოგრაფიულ ფილმში შესრულებული „კვლავ შემიყვარე“ დასახელდა.

საუკეთესო მინისერიალის ან სატელევიზიო ფილმის კატეგორიაში „ეიჩ-ბი-ოუს“ „ჩერნობილმა“ „ოქროს გლობუსი“ მიიღო. ამავე ფილმში მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის **სტელან სკარსგარდი** დაჯილდოვეს, რომელიც ფილმ „ჩერნობილში“ ავარიის ერთ-ერთ მთავარ ლიკვიდატორ ბორის შერბინს ასახიერებდა.

მინისერიალში მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად **რასელ ქროუ** დაასახელეს. ამავე კატეგორიაში ქალის როლისთვის **პატრიცია არკეტი** გამოარჩიეს.

„ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების ცერემონიალი 1942 წლიდან იმართება. საუკეთესო კინო და სატელევიზიო ფილმებს ჰოლივუდში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები არჩევენ. პრემია სულ 25 ნომინაციაში გაიცემა.

სულთათანა

დავით წერედიანი:

ვაჰმე, რა მშვიდად თამაშობს სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს...

პოეტი და მთარგმნელი დავით წერედიანი 30 დეკემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ქართლის ნაზამთრალ გულისპირს
ნელი წვიმებით ნამავს,
ვაჰმე, რა მშვიდად თამაშობს
სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს...“

დავით წერედიანი დაიბადა 1937 წლის 12 აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანში. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1963 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

დავით წერედიანი თარგმნიდა ფრანგული და გერმანული ენებიდან. ფრანსუა ვიიონის „დიდი ანდერძისა“ და „მცირე ანდერძის“ თარგმანებზე ამბობენ, რომ თავისი ხარისხით ტექსტი დედანს უტოლდება, „ფაუსტის“ თარგმნისათვის კი მან ორჯერ მიიღო „საბა“. ასევე „საბა“ გადაეცა ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. გარდა ამისა, 2017 წელს გოეთეს ინსტიტუტმა და DVV International-მა დავით წერედიანი გივი მარგველაშვილის სახელობის პრემიით დააჯილდოვა.

გიორგი ლობჟანიძე — პოეტი, მთარგმნელი: **„ძალიან დიდი პოეტი და კონგენიალური მთარგმნელი იყო. დავით წერედიანმა ქართული ენის ახალი შესაძლებლობები გამოავლინა. ახალ-ახალი ინტონაციებით გაამდიდრა და ისეთი ლირიკული შედევრები შექმნა, რომლებიც ყველა თაობისთვის იქნება მისაღები. ერთი სიამოვნებაა, წაიკითხო მის მიერ ნათარგმნი პასკალ კინიარის „ყოველი დილა ქვეყანაზე“. ძმები გრიმების ზღაპრებიც მისი ნათარგმნია. ხშირად ამბობენ, ზღაპრების თარგმნას რა უნდაო. ნურას უკაცრავად! შეიძლება, უფრო რთულიც იყოს“.**

„ცრის... რა უღრანი ღამეა...
ღმერთო, გზას ავცდი, მგონი...
ძახილის ძალა მომეცი,
ძალი წყვდიადში დგომის.
ამ ქვადქცეული ღამიდან,
ამ ბნელეთით და მკვდრეთით,
სხვა რა გააღწევს ნამდვილი,
მწარე ძახილის მეტი....“

დავით წერედიანის პოეტური მემკვიდრეობა დიდი არ არის, მაგრამ რაც არის:

„არაჩვეულებრივი ლექსებია. მან აიღო ხალხური ლექსების ქარგა და პიროვნული მუსიკის ჩარჩოებში მოაქცია. ეს, დაახლოებით, იმას ჰგავს, ფალიაშვილმა ქართულ მუსიკაზე ოპერა რომ შექმნა“, - ამბობს გიორგი ლობჟანიძე.

„მუხლებზე ხელებდაყრილი
ვზივარ ეკვდერის კარად.
აღმდგარა ყველა ლაზარე,
ჩემი ლაზარე — არა“.

ეს ლექსი 1984 წელს გამოქვეყნდა და „თვითმფრინავის ბიჭს“ გეგა კობახიძეს მიეძღვნა.

გამომცემლობა „ინტელექტს“ დავით წერედიანთან დაკავშირებით დიდი გეგმები ჰქონდა, სურდა მისი პოეტური კრებულის გამოცემა, ასევე ფრანგი კლასიკოსი პოეტების თარგმნა, მაგრამ ვერ მოასწრო. „ინტელექტის“ ხელმძღვანელი ზვიად კვარაცხელია ამბობს, რომ დავით წერედიანი ძალზე გულდასმით მუშაობდა და წიგნის მომზადებას დიდ ხანს უნდებოდა.

ორი წიგნის გამოცემა მაინც მოასწრეს: „თემა და ვარიაციები“ და ფედერიკო გარსია ლორკას „ბოშური რომანსეროს“ თარგმანი. ეს უკანასკნელი სწორედ მაშინ გამოვიდა, როდესაც წერედიანი უკვე საავადმყოფოში იწვა. თავისი ბოლო წიგნის ნახვა ავტორმა ვეღარ მოასწრო.



„ბოლო დროის განმავლობაში ხშირი ურთიერთობა მქონდა მასთან და სულ სხვა დავით წერედიანი გავიცანი. ადამიანი, ვისთანაც თითქმის ყველაფერზე შეიძლებოდა საუბარი. განსაკუთრებული იუმორი ჰქონდა, რომელსაც ფართო წრე ვერ ამჩნევდა, რადგანაც არ იყო ყველასთვის გახსნილი. ეს იუმორი ძალიან კარგად ჩანს მის თარგმანებში“, — ამბობს ზვიად კვარაცხელია.

4 იანვარს დავით წერედიანი დიდი პატივით დაკრძალეს მახათას ახალ პანთეონში...

თეა თოფურია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს სრულიად საქართველოს, რომ გარდაიცვალა დიდი შემოქმედი, პოეტი და მთარგმნელი, ჩვენი გაზეთის მეგობარი და მუდამ სასურველი ავტორი, ჭეშმარიტი მამულიშვილი

დავით წერედიანი

მშვიდობით... ჯვარი გწერია...

ქართული სიტყვის მარგალიტს
თილისმად აგუნდავებდი,
რომ სტრიქონს შენსას ემოსა
სურნელი დაუდარები.

მთარგმნელმა ვიიონისა
საქმე ჰქმენ გასაკვირები —
დიდებს ბავშვობა გვანატრე
ზღაპრებით ძმები გრიმების.
გენიოსების შედევრებს
ქართულ საუნჯედ გვწყალობდი,
გიბედისწერა მუხთალმა
ასულს გოეთეს წყარომდი.

ბავშვობიდანვე ეულად
შებმული მძიმე უღელში,
ცალად შთენილი მშობლისთვის
ერთადერთი და ნუგეში,
წარბშეუხრელი სიკერპით
ობლის კვერს თავად აცხობდი,
დასაპურებლად სხვებისთვის,
დასტურად შენი კაცობის.

წარსულ დღეთაგან ვიხსენებ
(იმ ხსოვნას რა დააურვებს)
ჩვენ, ორის, ქვეყნის სვე-ბედზე
ქუჩის ღამეულ საუბრებს.
ეს ცრემლიანი წერილიც
იმ დროის ანარეკლია.
დამთავრდი?
ახლა იწყები!
მშვიდობით...
ჯვარი გწერია...

. . .
თუ საქართველო იცოცხლებს —
შენს სულში გადანათლული,
მომავლის ქართველს უაკვნებს
წერედიანის ქართულიც!

გივი შეყილაძე

გურამ და ბენო ქაშაკაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ გამორჩეულ მეგობარს ვალერიან გრძელიშვილს ძვირფასი მეუღლის

ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელთა სახელით დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი და ჩვენი გაზეთის ძველი ავტორისა და მეგობრის, ჩინებული ქართველი მამულიშვილის, ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი ღირსეული, საპატიო მოქალაქის ვალერიან გრძელიშვილის მეუღლის

ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილის

გარდაცვალების გამო.

ბატონო ვალერიან, გვიგულეთ თქვენ გვერდით!

სპარტაკ ძოგულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, გივი ჯახუა, მამუკა ვაშაკიძე, გია პლატონიშვილი.

გარდაიცვალა რუსთაველის თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ივანე (ვანო) გოგიტიძე.

თითქმის 50 წელი იყო ვანო გოგიტიძე რუსთაველის თეატრის მსახიობი. ამ სცენაზე ითამაშა: კოტე („ხანუმა“), ტატიშჩევი („ივანე მრისხანეს სიკვდილი“), პარისი („რომეო და ჯულიეტა“), ჯიმი („დაკრძალვა კალიფორნიაში“), ამერიკელი ჯარისკაცი („ას ერგასის დღე“), რაშიდა („მეშვიდე ცა“), რეგვენი, იოსები („კავკასიური ცარცის წრე“), კოსტა („თავისუფალი თემა“), კორნუოლი („მეფე ლირი“), დევინსონი („მარიამ სტიუარტი“), მეთორმეტე მსაჯული („თორმეტი განრისხებული მამაკაცი“) და სხვა.

ვანო გოგიტიძე რუსთაველის თეატრის ტრიუმფის უშუალო მონაწილეც იყო.

რუსთაველის თეატრის დასი დიდი გულისტკივილით ეთხოვება ვანო გოგიტიძეს, მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.

რუსთაველის თეატრი

პაპუნა ნემსაძე

იგი გამორჩეული გახლდათ ოჯახიშვილობითაც, თანადგომის განსაკუთრებული უნარითაც, კაცობითაც, მამულიშვილობითაც.

ამიტომაც სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით ყველგან, სადაც კი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სიკეთეს თესავდა, მათ შორის — საფეხბურთო მინდორზე.

როგორც მახარაძის „მერცხალის“ კაპიტანს, პაპუნა ნემსაძეს ყოველთვის გულისტკივილით გაიხსენებს გულშემატკივარი.

„სრ“ სპორტის რედაქცია.

გარდაცვალა აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრემიერი

აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია მოსკოვში 79 წლისა გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „აფსნიპრესი“ ავრცელებს.

1989-2001 წლებში ჯერგენია ე.წ. პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას პირადი წარმომადგენელი იყო, 1992 წლიდან კი დე ფაქტო გენპროკურორად მუშაობდა.

2001-2002 წლებში ჯერგენია ე.წ. პრემიერის თანამდებობას იკავებდა, 2004 წელს კი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე იყრიდა კენჭს.

გუდაურში რუსი ტურისტი გარდაცვლილი იპოვეს

გუდაურში, ზვავში მოყოლილი რუსი ტურისტი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს.

სამძებრო სამუშაოებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ გუდაურის სამაშველო სამსახური იყო ჩართული.

გამოძიება სსკ 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

სანთელი

მარიამ ბეჟუაშვილი-ცინცაძე

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ ჩვენს უახლოეს მეგობარ გოგი ცინცაძეს და მის ოჯახს უძვირფასესი, უსათნოესი, უნიჭიერესი, თვალსაჩინო პედაგოგის, სკოლა-კომპლექს „სადუნის“ დამაარსებლისა და ბრწყინვალე დირექტორის მარიამ ბეჟუაშვილ-ცინცაძის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 7, 8 I, 17 სთ-ზე, მცხეთაში, შრომის ქ. №69, გამოსვენება 9 I, 14 სთ-ზე, მცხეთის სასაფლაოსთან არსებულ წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიიდან.

მეგობრები:
გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, გიზო ბაქანიძე, ჯუმბერ ბერაძე, ჯემალ ბერიძე, თამაზ გაბუნია, ბიჭი დადიანი, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ჯემალ კეთილაძე, ალიკო კობაიძე, მიხეილ, ჯემალ კუხალაშვილები, ავთანდილ ლილუაშვილი, ზურაბ ლომიძე, გრიგოლ ონიანი, რომან რურუა, დავით სალარიძე, გიორგი სალუქვაძე, ომარ სიამაშვილი, ზურაბ ქარუმიძე, გრიგოლ შონია, ვახტანგ ცხადაძე, გივი ჯაფარიძე, თამაზ ყიფიანი, თამაზ ტყემალაძე, სპარტაკ ქობულია.

ვალმოხდილი

ოთარ აბუთიძის ხსოვნას



გარდაიცვალა ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პიროვნება, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ აბუთიძე, რომელიც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილით იყო დაკავშირებული საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (ტექნიკური უნივერსიტეტი), როგორც გამორჩეული პედაგოგი, პოლიტიკური პარტიების ისტორიის შესანიშნავი მკვლევარი, კათედრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტრუქტურების ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორი.

1922 წელს ქუთაისში დაბადებულმა კაცმა თავისი პროფესიონალიზმი და დიდი ზნეობრიობა ჩააქსოვა ყველა საქმეს, რომელსაც წლების მანძილზე ემსახურებოდა — პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა იყო ეს, პედაგოგიური თუ სამეცნიერო.

1968 წლიდან სამოღვაწეო ადგილი თბილისია და, კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის კათედრაა და ქიმიის ფაკულტეტია, როგორც პროფესორი და დეკანის მოადგილე.

100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, წიგნების, სახელმძღვანელოების, სხვადასხვა პუბლიკაციის ავტორი გულწრფელად ემსახურებოდა სტუდენტ-ახალგაზრდობას, სწამდა და სჯეროდა მათი და დიდ პატივისცემას იმსახურებდა მათი მხრიდანაც.

ო. აბუთიძე იყო მრავალი სახელმწიფო ჯილდოს, ორდენისა თუ მედლის მფლობელი, ომის შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი — კულტურულ-მასობრივი კომისიის თავმჯდომარე.

სახელოვან ორგანიზატორსა და ლექტორს არაერთი გამოჩენილი ადამიანისთვის გაუწევია დახმარება და გზა გაუკვალავს. ერთ-ერთი ასეთი იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, შემდგომში ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ედუარდ შევარდნაძე.

ოთარ აბუთიძის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება იყო უანგარო დახმარების გაწევა თავისი თანამშრომლებისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის. უყვარდა თავისი სამშობლო და მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებაზე ოცნებობდა.

ოთარ აბუთიძეს ჰყავდა შესანიშნავი ოჯახი. მის გვერდით ყოველთვის იდგა ერთგული მეუღლე — კდემამოსილი ნანა კიკნაძე, რომელიც დიდი გულისტკივილით დაემშვიდობა მარადიულობაში გადასულ მეუღლეს.

ო. აბუთიძემ სამშობლოს აღუზარდა ორი შვილი — მარინა და მანანა აბუთიძეები, რომლებიც მამის გზას გაჰყვნენ და წარმატებით საქმიანობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორებად.

ოთარ აბუთიძემ თავისი ცხოვრების 98 ზამთარი განვლო და ზამთარშივე აღესრულა. ბევრი რამ შექმნა, ჟამთა სვლას რომ გაუძლებს. სენეკას რომ დავესესხოთ, ადამიანი, რომელიც ამ ხნის მანძილზე ვერაფერს შექმნის, დიდხანს კი არ ცოცხლობს, არამედ დიდხანს კვდება.

ოთარ აბუთიძე არ მომკვდარა. ის გარდაიცვალა. წავიდა წუთისოფლიდან მარადისობაში, როგორც ერთი გამორჩეული ქართველი კაცი, რომელმაც იქ ადგილი უნდა დაუბევოს სხვებს — ვალმოხდილებს საზოგადოების, ოჯახის, მეგობრების, კოლეგების და, რაც მთავარია, საქართველოს წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მეგობრები, კოლეგები, თანამშრომლები, სტუდენტები.

◎ საშობაოდ

იქნებ წლეულს მაინც...

შობა-ახალი წელი სპორტული თვალსაზრისით მკვდარ სეზონად ითვლება, რადგან თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობის ტურნირები თუ შეხვედრები იმართება, მაგრამ გულშემატკივარს საფიქრალს რა გამოულევს.

გაეცანით გასათვალისწინებელი წინადადებებით გაჯერებულ ჭეშმარიტი ქომაგის სტრიქონებს და გაგვიზიარეთ საკუთარი პოზიცია.



РЕДАКЦИЯ ГАЗЕТЫ
Советский Спорт
№ 55862
Москва, К-62
ул. Архипова, 8.
Телефоны:
Секретариат К 4-98-09
Отдел писем Б 3-97-31

4 ноября 1965 г.

Уважаемый тов. Лежава!

Ваше письмо мы направили в президиум Всесоюзной коллегии судей.

Литсотрудник отдела футбола В.Пахомов

არც ისე დიდი ხნის წინათ ჩემს არქივში მივაგენი საბჭოთა კავშირში გამომავალი მთავარი სპორტული გაზეთის „Советский спорт“-ის ფეხბურთის განყოფილებიდან მიღებულ ბარათს, რომლითაც მატყობინებდნენ, რომ ჩემი წერილი გადაგზავნილი იყო მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმში.

რაც შეეხება საკითხის არსს, 1965 წლის ოქტომბერში (55 წლის წინათ!) ამ გაზეთის რედაქციას მივმართე ორი წინადადებით:

პირველი, — ვინაიდან კუთხურის მოწოდების დროს ხშირად ირღვეოდა 9 მეტრის წესი (ჩამომწოდებლისთვის ხელის შეშლა), ვთავაზობდი მოედნის პირით ხაზზე, კუთხურის ალმიდან 9 მეტრის დაცილებით გაკეთებულიყო პატარა ნიშანი სწორი ხაზის სახით მოედნის მხრიდან ან მის გარედან. ამ ხაზის საშუალებით მაყურებელიც და მსაჯიც ადვილად შეამჩნევდა წესის დარღვევას და უკვე ველარც დამცველი გუნდის მოთამაშე გაბედავდა ჩამომწოდებელთან უფრო ახლოს დადგომას ან მისკენ გაქცევას კუთხურის მოწოდების მომენტში. გავაგზავნე ორივე ვარიანტის ნახაზიც. არ ვიცი როდიდან, მაგრამ ეს ხაზი (მოედნის გარეთა მხრიდან) დიდი ხანია, რაც ფეხბურთის ყველა მოედანს აქვს დამატებული მსოფლიოში.

მეორე წინადადებით, უკვე დროის გაყვანის თავიდან ასაცილებლად, მატჩის უკანასკნელ 5-წუთიან პერიოდში უნდა აკრძალულიყო მოთამაშის შეცვლა, ხოლო აშკარა ტრავმის შემთხვევაში შეცვლის დრო უნდა დამატებოდა ძირითად დროს, ანუ 90 წუთს (დღეს რომ ყოველ შეხვედრაში 3-5-7 წუთის დამატება ჩვეულებრივი მოვლენაა, 55 წლის წინათ დამატებული დროის წესი საერთოდ არ არსებობდა).

რედაქციისგან მიღებული პასუხი 1965 წლის 4 ნოემბრითაა დათარიღებული (№ 55862), რომლის ფოტოასლსაც თან ვურთავ.

მოვინდომე იმის გარკვევა, თუ ვის სახელს (პიროვნების, ქვეყნის) უკავშირდება ამ წესების შემოღება მსოფლიოში, მაგრამ მიუხედავად დღეს არსებული ზღვა მასალის შემცველი ინტერნეტისა, მაინც ვერ დავადგინე.

ახლა 2020 წლის იანვარია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით მინდა მივმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რათა იგი გამოვიდეს შემდეგი ახალი ინიციატივით:

ყველანი მოწმენი ვართ იმისა, რომ ისეთი კარგი, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშიც კი, როგორიც ფეხბურთია, ხშირად უინტერესოა საყურებლად — არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, მაღალი კლასის ფეხბურთელები არ თამაშობენ, არამედ იმიტომ, რომ, როცა რომელიმე გუნდს (ზოგჯერ — ორივეს) ანგარიში ხელს აძლევს (მოგება იქნება ეს, ფრე თუ მინიმალური სხვაობით წაგებაც კი), იგი იწყებს დროის გაყვანას — ბურთის ერთმანეთში გადაწოდებ-გადმოწოდებას, ზოგჯერ მოწინააღმდეგის მოედნიდან უკანვე თავის ნახევარზე ბურთიანად დაბრუნებას, ან დამცველისთვის, მეკარისთვის მიწოდებას, და ასეთი უღიმღამო „თამაში“ წუთების განმავლობაში გრძელდება. მოგეხსენებათ, ამხელა მოედანზე ამის გაკეთება არც ისე ძნელია, მოწინააღმდეგე, მოწადინებული გუნდის მხრიდან კი, პრესინგის შემთხვევაშიც, მეტოქისთვის ბურთის ართმევა — ძალიან ძნელი. სამწუხაროდ, ასეთი სურათის შემხედვარენი ვართ არა მხოლოდ მატჩის მიწურულს, არამედ ზოგჯერ — პირველივე ტაიმიდან, რაც, დამეთანხმებით, ერთობ უინტერესოს და სანახაობრივად წამგებიანს ხდის ბევრ მატჩს, საერთოდ, — ფეხბურთს.

შემოვდივარ წინადადებით, რომ ზოგიერთი წესი გადმოვიღოთ ისეთი არაჩვეულებრივად დინამიური, ლამაზი და პოპულარობითაც №2 სპორტის სახეობიდან, როგორიც არის კალათბურთი. მოგეხსენებათ, რომ დიდი ხნის წინათ არსებული წესებით გუნდს უსასრული დროით შეეძლო ბურთის ფლობა, ანუ ვიდრე არ დაკარგავდა მას ან ჯარიმას არ მიიღებდა რომელიმე მხარე. სპეციალისტები მიხვდნენ, რომ რაღაც შესაცვლელი იყო წესებში და მოიფიქრეს კიდეც ძალიან ეფექტური 24 წამის წესი და 3-ქულიანი სროლებიც, რამაც ბევრად უფრო საინტერესო გახადა კალათბურთი.

ბურთის ტარების დროის შეზღუდვას ფეხბურთში, ცხადია, ვერ დავაწესებთ და არც შორიდან მოწოდებული ბურთის ორ ბურთად ჩათვლა იქნება ჭკუასთან ახლოს, მაგრამ კალათბურთში არის კიდევ ორი წესი, რომლებიც ზემოთ ნახსენებ წესებთან ერთად საშუალებას იძლევა თამაშის მთელი დრო მაქსიმალურად დაძაბული იყოს. ეს წესებია ე.წ. **ზონის წესი და 8 წამის წესი.** ზონის წესის მიხედვით თავდასხმის ანუ წინა ზონაში მყოფმა მოთამაშემ არ შეიძლება ბურთი დააბრუნოს უკან ანუ თავდაცვის ზონაში (გუნდი ისჯება ბურთის ჩამორთმევით), 8 წამის წესის მიხედვით კი მოთამაშემ 8 წამში თავდაცვის ზონიდან აუცილებლად უნდა გადაიტანოს ბურთი თავდასხმის ზონაში ფეხბურთის მოედანთან შედარებით ბევრად უფრო პატარა კალათბურთის მოედანზეც კი, სადაც გაცილებით ადვილია პრესინგი, აი, ასეთი მახვილგონივრული წესებია შემოღებული თამაშის გასაუმჯობესებლად!

დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ამ წესის შემოღება უფრო სანახაობრივს და დინამიურს გახდის ფეხბურთს. ცვლილება მხოლოდ 8 წამის წესში იქნება შესატანი — 8 წამის ნაცვლად 30-35 წამი. ოპტიმალურ დროს სპეციალისტები დაადგენენ, მთავარია პრინციპი!

იაკობ ლეჟავა

◎ დღესასწაული

ხორციელად შობა
უფლისა ღვთისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებელი სამყარო.

ნიშანდობლივია ის, რომ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იუდეის ბეთლემში, მთელი მსოფლიო, წარმართულ რელიგიათა მსახურნი თუ ფილოსოფოსნი მოუთმენლად ელოდნენ იმ სასწაულ ღამეს — მხსნელის მოვლინებას ამ ქვეყნად, რათა ცოდვის ტყვეობაში ჩაძირული სამყარო ნათლობის ემბაზში განბანილი სამუდამოდ შერთვოდა ჭეშმარიტ ღმერთს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტეს შობის დღეებში რომის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება საყოველთაო აღწერისა... ყველა ებრაელი თავისი წინაპრის ქალაქში უნდა ჩაწერილიყო.

...იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისგან მოდიოდნენ და ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ ღამის გასათევი ადგილი არსად დახვდათ და ქალაქის მახლობლად, გამოქვაბულს შეეფარნენ. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვის სადგომი იყო...

სწორედ აი, აქ გამოქვაბულში იშვა მაცხოვარი.

უფლის დაბადება ანგელოზთა დასმა ღვთაებრივი გალობით ამცნო მწყემსებს მახლობელ სოფელში: „დიდებაᲐ მაღალთა შინა ღმერთსა ძეᲗᲐᲗᲐᲜᲐᲡᲐ ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაᲐ...“

მწყემსები გამოქვაბულისკენ გაემართნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ, რაც იხილეს.

უფლის თაყვანისაცემად მოგვებიც გამოემგზავრნენ, რომელთაც ვარსკვლავებზე დაკვირვებით ემცნო იესოს განკაცება. ბეთლემისკენ მათ ღვთაებრივი ვარსკვლავი მიუძღოდა.

განგების ნებით, მოგვები ბეთლემს ეწვივნენ და იხილეს იესო თავის ხორციელ მშობლებთან ერთად. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი — ოქრო, გუნდრუკი და მური.

გილოცავთ იმ სასწაულ ღამეს მომხდარ ამბავს — იესო ქრისტეს შობას!

გიული ლიპარტია

მსოფლიოს უხუცესი ადამიანი 117 წლის გახდა

დედამიწის ყველაზე ასაკოვანი ქალი, იაპონელი კანე ტანაკა 117 წლის გახდა.

საზეიმო თარიღის აღსანიშნავად მოხუცებულთა თავშესაფარში, სადაც ტანაკა ცხოვრობს, წვეულება მოაწყვეს. სტუმრებს ტორტი მიართვეს, ოთახი კი სანთლებით და ბუშტებით მორთეს.

კანე ტანაკა გინესის რეკორდების წიგნში 2019 წლის 9 მარტს მოხვდა, როგორც დედამიწის ყველაზე ასაკოვანი ადამიანი, როგორც ქალებს, ასევე კაცებს შორის. მაშინ ის 116 წლის და 66 დღის იყო.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაიყიდა 276-კილოგრამიანი თინუსი

თინუსი, რომელიც 276 კილოგრამს იწონის, ტოკიოში 193,2 იენად (1,8 მილიონი დოლარი) გაიყიდა.

ტოკიოს საახალწლო აუქციონი პირველად შარშან ჩატარდა, როდესაც 278-კილოგრამიანი თინუსი რეკორდულ ფასად, 333,6 მილიონ იენად (3,1 მილიონი დოლარი) გაიყიდა.

თინუსის საახალწლო პირველი აუქციონები, როგორც წესი, ყურადღების ცენტრში ექცევა. ის ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარ მარკერად აღიქმება — რაც უფრო მაღალია ყველაზე ძვირადღირებული თინუსის ფასი, მიიჩნევა, რომ იმდენად წარმატებული იქნება იმ წელს ქვეყნის ეკონომიკა.

ყველაზე დიდი ყვავილი

მეცნიერებმა ინდონეზიაში მსოფლიოს უდიდესი ყვავილი — რაფლეზია იპოვეს.

ყვავილის დიამეტრი 122 სანტიმეტრია. საინტერესოა, რომ რაფლეზია წინა რეკორდსმენის ადგილას გაიზარდა და მასზე 10 სანტიმეტრით დიდია.

რაფლეზია პარაზიტული მცენარეა, მას არც ფოთლები აქვს და არც ფესვები. სიცოცხლისთვის აუცილებელ ნივთიერებებს კი მასპინძელი მცენარისგან იღებს.

ტყუპი და-ძმა სხვადასხვა ათწლეულში დაიბადა

აშშ-ში, ინდიანის შტატში ახალი წლის ღამეს დაბადებულ ტყუპ და-ძმას დაბადების თარიღის ყველა რიცხვი განსხვავებული აქვს.

დონ გილიამი და მისი ქმარი ჯეისონი ბავშვების დაბადებას 19 თებერვალს ელოდებოდნენ, თუმცა გარკვეული სამედიცინო მაჩვენებლების გამო ექიმებმა დონისთვის საკეისრო კვეთის ჩატარება ახალი წლის ღამეს გადაწყვიტეს.

ჯოსლინი 2019 წლის 31 დეკემბერს, 23 საათსა და 37 წუთზე დაიბადა. მისი ძმა ჯექსონი კი 30 წუთის შემდეგ, უკვე 2020 წლის 1 იანვარს. შესაბამისად, ტყუპი და-ძმა სხვადასხვა დღეს, წელსა და ათწლეულში გაჩნდა.

დედას და პატარებს სამშობიაროდან მალე გაწერენ.

თან მოცარტი, თან ვარჯიში

ამერიკელმა პიანისტმა ლოლა ასტანოვამ Instagram-ზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც როიალზე მოცარტის **„რონდოს თურქულ სტილში“** ასრულებს **და თან ვარჯიშობს. სოციალურ ქსელში ვიდეომ 24 საათში 300 ათასი მოწონება დააგროვა. „არასოდეს არავის შეუსრულებია ასეთი ვარჯიშები,“** — წერენ სოციალურ ქსელში მომხმარებლები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 9 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8672; ევრო - 3.1918;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7489;
100 რუბლი - 4.6208; თურქული ლირა - 0.4798;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6885;
1000 სომხური დრამი - 5.9858.

ამინდი 7 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	-2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge